ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

14 მარტიდან
„ახალ თაობასთან" ერთად
მუხრან მაჭავარიანი
100 ლექსი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




სამშაბათი, 15 მარტი, 2016 №62 (6988) ფასი: 50 თეთრი

# „რა დროს ფარული ჩანაწერებია, ქვეყანა ტერაქტების საფრთხის წინაშე დგას"




ზაალ კასრელიშვილი: „რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატების რეიტინგი მკვეთრად გაიზარდა"

გვ.3

რესპუბლიკური პარტია

თავისუფალი დემოკრატები



გვ.3

## ნათია ფანჯიკიძე: „მე დავეხმარები ირაკლის ცოცხალიც და დავეხმარები მკვდარიც"



გვ.3

## ინგა გრიგოლია: „მუქარის არ მეშინია და არც გაჩუმებას ვაპირებ"

როგორ უნდა მიაკვლიონ ფარული ჩანაწერების გამავრცელებლებს — სპეციალისტების განმარტებები გვ.2

## ლადო პაპავა: „გადადგომას არ ვაპირებ"

გვ.2



უნივერსიტეტის კანცლერობის კანდიდატმა გაფრინდაშვილმა კანდიდატურა მოხსნა

## პოროშენკომ სააკაშვილი გადააყენა?

გვ.6



## აფხაზეთი სამოქალაქო ომის ზღვარზეა

გვ.4





გვ.5

## ნანა კაკაბაძე: „კადრების განადგურება ხელისუფლების დანაშაული იყო"

„პასუხისმგებლობა არასამთავრობოებსაც ეკისრებათ"

## გიორგი მარგველაშვილი: „მე ძალიან მდიდარი სექსუალური ცხოვრება მაქვს"

გვ.4





გვ.4

## სოსო მანჯავიძე: „პირადი ცხოვრების ფაილების განადგურება მასკარადი იყო"

ISSN 1987-9385

## „ხელისუფლებას დესტაბილიზაცია არ აწყობს"

# ლადო პაპავა: „გადადგომას არ ვაპირებ“

## უნივერსიტეტის კანცლერობის კანდიდატმა გაფრინდაშვილმა კანდიდატურა მოხსნა

ნათია ხურცილავა

ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერობის კანდიდატმა გიორგი გაფრინდაშვილმა, გუშინ, 14 მარტს, კანდიდატურა მოხსნა.

უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი, რომელიც უნივერსიტეტის ფოიეში იყო, აღნიშნულ გადაწყვეტილებას ოვაციებითა და გამარჯვების ყიჟინით შეხვდა. მეორე ნაწილმა, რომელიც ასევე უნივერსიტეტის ფოიეში რექტორატთან იყო გამაგრებული, რექტორის გადადგომა მოითხოვა.

„წადი-წადი“ შეძახილის ავტორი უნივერსიტეტის თვითმმართველობაა. სწორედ მათ სცადეს უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში შეჭრა, მაგრამ უნივერსიტეტის დაცვამ და საპატრულო პოლიციამ მათ ამის შესაძლებლობა არ მისცა.

სტუდენტთა სხვა ნაწილი კი, რომელიც მერამდენე დღეა უნივერსიტეტში პერმანენტულ აქციებს აწყობს, უნივერსიტეტის რექტორ ლადო პაპავას მოუწოდებს, რომ პროვოკაციებს არ აჰყვეს და პოსტი არ დატოვოს. სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“ ლადო პაპავას მოუწოდებს, იყოს სტუდენტების გვერდით და დაეხმაროს მათ მოთხოვნების ბოლომდე მიყვანაში.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა ერთი ნაწილის ერთ-ერთი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ისინი აქციების შეწყვეტას არ აპირებენ. როგორც მათ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადეს, უცვლელი რჩება ორი მოთხოვნა: დაიწყოს დაუყოვნებლივი გამოძიება უნივერსიტეტში „ოდეერების“ ინსტიტუტის არსებობასთან დაკავშირებით და უნივერსიტეტის თვითმმართველობის თვისობრივი რეორგანიზაცია.

— ამ ორი მოთხოვნის დაკმაყოფილებაში ჩვენ გვჭირდება ლადო პაპავას თანადგომა და სრული მხარდაჭერა. თუ ის თავის პოზიციებს ვერ დაიცავს და გადადგება, ეს იქნება უნივერსიტეტის დამარცხება. მაშინ არათუ ავტონომია, საერთოდ უნივერსიტეტის არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, — გვითხრა უნივერსიტეტის მეოთხე კურსის ერთ-ერთმა სტუდენტმა.

* * *

„ახალი თაობა“ ლადო პაპავას ესაუბრა.

**ლადო პაპავა:**

— მე გადადგომას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან უნივერსიტეტი ამით კიდევ უფრო დიდ ჩიხში შევა, ამიტომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ჩემი მხრიდან შეუძლებელია. უნივერსიტეტს აქვს ყველა რესურსი და



წესდება, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს. მე ვარ გარანტი, რომ ეს ყველაფერი აღსრულდეს. რექტორის გადადგომა კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში ჩააყენებს უნივერსიტეტს.

***— პრობლემის მოგვარების გზას სად ხედავთ და როგორ აპირებთ მის გადაჭრას?***

— პრობლემის მოგვარების რეალური გზა არის უნივერსიტეტის წესდებით მოქმედება და სწორედ ასე შეიძლება მოგვარდეს პრობლემა.

***— საზოგადოების ნაწილი აცხადებს, რომ პროტესტი თქვენ მიერ არის ინიცირებული. რას უპასუხებთ?***

— როგორ შეიძლება ეს ყველაფერი ჩემ მიერ იყოს ორგანიზებული?! ეს წარმოუდგენელია, ახლა ყველაზე ცუდად მე ვარ. როგორ შეიძლება, რექტორს მსგავსი რამ უნდოდეს. მეც ადამიანი ვარ და ძალიან რთულ ვითარებაში ვიმყოფები, მაგრამ სრულად ვაცნობიერებ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც უნივერსიტეტის რექტორს აკისრია კანონიდან და წესდებიდან გამომდინარე.

***— ბატონო ლადო, სტუდენტების ერთი ნაწილის კიდევ ერთი მოთხოვნა თვითმმართველობის რეფორმაა.***

— ამ რეფორმის განხორციელებას კანონში ცვლილებები სჭირდება და ეს არ არის მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის საკითხი. ყველა უნივერსიტეტი უნდა შეიკრიბოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდულ სამინისტროსთან ერთად და უნდა ჩამოყალიბდნენ, როგორ მოხდეს ეს რეფორმა. მე სრულ მზაობას ვაცხადებ, რომ სიტუაციის ნორმალიზაციასთან ერთად სერიოზული რეორგანიზაცია-რეფორმა დაიწყება.

***— კიდევ ერთი მოთხოვნა „ოდეერების“ არსებობას უკავშირდება. თუ დაიწყო გამოძიება?***

— უნივერსიტეტის შიდა აუდიტმა მიიღო დავალება, რომ ამ საკითხზე დაიწყოს მოკვლევა.

* * *

უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტი შალვა საბაური აცხადებს, რომ ისინი რექტორის გადადგომას ითხოვენ.

***— რატომ ითხოვთ ლადო პაპავას გადადგომას?***

— ის სამართლებრივი წესრიგის აღდგენას ვერ უზრუნველყოფს. ასევე ჩვენ ვეწინააღმდეგებით უნივერსიტეტში „ოდეერის“ არსებობას და მასთან მოთანამშრომლე რექტორს.

***— გაფრინდაშვილიც ხომ თანამშრომლობდა იმ „ოდეერთან“, რომელსაც თქვენ მხარს უჭერდით?***

— გაფრინდაშვილის თემა საერთოდ არ გვაინტერესებს.

***— სტუდენტების მეორე მხარე აცხადებს, რომ თქვენ ინსტრუქციებით მოქმედებთ. რას უპასუხებთ?***

— არაფერი ინსტრუქციებით არ ვმოქმედებთ. დეზინფორმაცია მათი მოდაა.

* * *

უნივერსიტეტის სტუდენტი ირაკლი კუპრაძე პროვოკაციებს გმობს.

— თვითმმართველობის კონტრაქციაზე ცნობილი გახდა, რომ თვითმმართველობის წარმომადგენლები ინსტრუქტაჟით მოქმედებენ. მათ უნდათ, რომ თანამდებობიდან გადააყენონ უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა და უნივერსიტეტის რექტორისა და კანცლერის თანამდებობები ხელში ჩაიგდონ, ამაში მათ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფებიც ეხმარება, — აცხადებს სტუდენტი.

***— გაფრინდაშვილმა მოხსნა კანდიდატურა, ეს არ არის საკმარისი?***

— არა, რასაკვირველია, არა. ჩვენი ორი მოთხოვნა ასევე უცვლელი რჩება. თუ დარჩენილ ორ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, პერმანენტული აქციები გაგრძელდება. ჩვენ ვითხოვთ რეალურ ცვლილებებს უნივერსიტეტში. ასევე ვითხოვთ თანასწორობას, არ გვინდა, პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ თვითმმართველობის წევრები.





## სტუდენტების პროტესტი ორი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის გრძელდება

# როგორ უნდა მიაკვლიონ ფარული ჩანაწერების გამავრცელებლებს — სპეციალისტების განმარტებები

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ინტერნეტსივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალების განთავსებამ თანამედროვე ტექნოლგიები, როგორც ბრძოლის იარაღად გამოყენებული ბერკეტი, ისე წარმოაჩინა.

საინტერესოა, ტექნიკური თვალსაზრისით როგორ ხდება მსგავსი ვიდეოკადრების ატვირთვა ინტერნეტსივრცეში, რა პროცედურებია საჭირო, რომ დადგინდეს, რომელმა ინტერნეტმომხმარებელმა და რა ტერიტორიიდან ჩაიდინა დანაშაული.

„კვირა“ საკითხზე სპეციალისტებს ესაუბრა. კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი გიორგი ქადაგიშვილი ამბობს, რომ ვიდეო შესაძლოა, ატვირთულიყო როგორც ინტერნეტკაფედან, ასევე რომელიმე თავისუფალი WI-FI-ს მეშვეობით, რაც, მისი თქმით, პირის იდენტიფიცირების პროცესს კიდევ უფრო გაართულებს.

სპეციალისტი არ გამორიცხავს, რომ პირს, რომელმაც აღნიშნული ვიდეო გაავრცელა, ჰაკერულად შეეღწია სრულიად უდანაშაულო პირის კომპიუტერში, განეთავსებინა ვიდეო ისე, რომ მეპატრონეს ამის შესახებ ვერ შეეტყო. მისი თქმით, ძალიან რთულია, რაიმე ტექნოლოგიური საშუალებით მოხდეს ვიდეოგამავრცელებლის იდენტიფიცირება.

„IP მისამართის ცოდნის შემდეგ გაირკვევა, რომელი კავშირგაბმულობის ოპერატორიდან აიტვირთა ქსელში ვიდეო. ეს ვიდეო შეიძლება ატვირთულიყო ინტერნეტკაფედან, WI-FI-ს მეშვეობით, მაგალითად, პირი გაჩერებულიყო მანქანით რომელიმე რესტორნის ან სხვა დაწესებულების მახლობლად, რომელსაც აქვს ინტერნეტზე თავისუფალი წვდომის სერვისი და იქიდან აეტვირთა ეს ვიდეო. ძალიან მეეჭვება, რომ ვინმეს ეს ვიდეო პირადი კომპიუტერიდან გაევრცელებინა, მაშინ დილეტანტთან უნდა გვქონდეს საქმე. არსებობს უარესი ვერსია, შესაძლოა, პირმა ჰაკერულად შეაღწია რომელიმე უდანაშაულო ადამიანის კომპიუტერში და იქიდან გაავრცელა ეს ვიდეო.

პრაქტიკულად მე ვერ ვხედავ საშუალებას, რომ ამ პირს მიაგნონ, იმიტომ,რომ ეს ტექნოლოგიურად ძალიან ძნელია და ამ ბარიერს, როგორც წესი, ყველა ქვეყნის შესაბამისი სამსახურები აწყდებიან“, — განუცხადა „კვირას“ გიორგი ქადაგიშვილმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი გვენეტაძე კი ამბობს, რომ, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რომელიIP მისამართიდან გავრცელდა აღნიშნული ვიდეო, ეს ინფორმაცია კი google-მა უნდა გასცეს, რასაც შესაბამისი პროცედურები სჭირდება.

„აღნიშნული ვიდეო აიტვირთაyoutobe-ზე, როგორც მოგეხსენებათ,youtobe ეკუთვნისgoogle-ს. საქართველოს მთავრობას არავითარი ლეგალური საფუძველი არ აქვს, პირდაპირ მივიდეს და მოსთხოვოს google-ს, მისცეს კონკრეტული ინფორმაცია.

ამისთვის აუცილებელია ქვეყანამ, მიმართოს google-ის ადმინისტრაციას და გამოითხოვოს IP მისამართები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება google-მა მოგვაწოდოს ინფორმაცია, თუ რომელი IP-დან აიტვირთა აღნიშნული ვიდეო. თუ, ვთქვათ, რომელიმე ინტერნეტკაფედან აიტვირთა, უნდა ჩატარდეს მოკვლევა, ვიდეოს გავრცელების დროს ვინ იმყოფებოდა აღნიშნულ ინტერნეტკაფეში. თუ აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნის ტერიტორიიდანაა ატვირთული, შესაბამისმა სამსახურებმა უნდა მიმართონ იმ ქვეყნის სამსახურებს და ერთობლივად ითანამშრომლონ პირის დადგენის მიზნით. ანუ ეს არც ისე მარტივი პროცედურაა“, — განუცხადა „კვირას“ ირაკლი გვენეტაძემ.

# კახა კალაძე ფარულ ჩანაწერებზე: „ეს არის მორალური ტერორი“



საქართველოს ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებზე საუბრისას აცხადებს, რომ ეს არის პირდაპირი დარტყმა იმ გუნდზე, ვინც დღეს ხელისუფლებაშია.

ჟურნალისტებთან საუბრისას კალაძემ მომხდარს „მორალური ტერორი“ უწოდა.

მისივე თქმით, გამოძიება დაწყებულია და ის იმედოვნებს, რომ ძალიან სწრაფად გამოვლინდება დამნაშავე თუ დამნაშავეები და კანონის ფარგლებში აუცილებლად დაისჯებიან ეს ადამიანები.

**კახა კალაძე:**

— ეს არის პირდაპირი დარტყმა მთავრობაზე, სახელმწიფოზე, ევროპულ კურსზე, რომელიც არჩეული აქვს ქართველ ხალხს, ჩვენს მთავრობას.

დარწმუნებული ვარ, ისინი აუცილებლად დაისჯებიან. ვერ გეტყვით, თუ ვინ მართავს ამ პროცესებს, თუმცა ცხადია, ჩვენ ყველას კარგად გვესმის ასეთი ჩანაწერები როდის კეთდებოდა, მას ვინ აკეთებდა. ეს იყო ძალიან ბინძური მეთოდები.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რა დროს ფარული ჩანაწერებია, ქვეყანა ტერაქტების საფრთხის წინაშე დგას“

## ზაალ კასრელიშვილი: „რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატების რეიტინგი მკვეთრად გაიზარდა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არ ღირს პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებზე ამხელა ყურადღების გამახვილება, რა საფრთხეები ელოდება გარედან საქართველოს, რომელი პარტიების რეიტინგი გაიზარდა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

**ზაალ კასრელიშვილი:**

– პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება თავისთავად დასაგმობია, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ამაზე ამხელა ყურადღების გამახვილება არ ღირს. არც მე ვაპირებ ამაზე ბევრ საუბარს, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თუ ვინმეს ინტერესში არ შედის ამ ჩანაწერების გავრცელება, ეს არის ხელისუფლება.

საქართველოს საზღვრებთან მძიმე ვითარებაა და ყურადღებას თუ მოვადუნებთ, შესაძლოა, მძიმე შედეგები მივიღოთ. პოლიტიკაში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ტერაქტები უკვე ჩვენს საზღვრებთან ხდება. თურქეთში ლამის დღე არ გავა, ასეთი უბედურება არ დატრიალდეს. იგივე ვითარებაა რუსეთშიც. დაღესტანსა და ინგუშეთში უკვე მოხდა აფეთქებები, ვლადიკავკაზში, საბედნიეროდ, აღკვეთეს ტერაქტი.

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნება ამაზრზენია, მაგრამ იმას რატომ არავინ ფიქრობს, რომ ეს შესაძლოა ყურადღების გადასატანად იყოს გაკეთებული. რატომ გვავიწყდება, რომ ომის ზღვარზე მყოფი რუსეთისთვისაც და თურქეთისთვისაც საქართველოზე გავლენის მოპოვება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ფირების გავრცელების უკან რუსეთის ან თურქეთის სპეცსამსახურები დგანან?***

– ამ ქვეყნების სპეცსამსახურები საქართველოში უკვე დიდი ხანია მუშაობენ. მათი ხალხი ხელისუფლებაშიც კარგად არის მოკალათებული. ქვეყანაში არსებული ქაოსით ეს ქვეყნები აუცილებლად ისარგებლებენ. ფირები კი ბევრ ვინმეს შეეძლო გაევრცელებინა. მთავარი აქცენტი ნაციონალებზე კეთდება, მაგრამ ეს ჩანაწერები რამდენიმე პარტიის წარმომადგენლებს აქვთ. ვინ, რას და როგორ გამოაგდებს, ამის პროგნოზირება ძნელია.

სამაგიეროდ, ნათლად ჩანს, რომ ქვეყანა არეულობისკენ მიჰყავთ. წერა-კითხვის უცოდინარი და დედიკოს ბიჭი პოლიტიკოსები კი ვერაფერს აკეთებენ. ადრეც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, რომ პოლიტიკური ველი ამ უსაქმურებისგან უნდა გაიწმინდოს. პოლიტიკაში ის ხალხი უნდა მოვიდეს, ვისთვისაც მთავარი ქვეყნის ინტერესები იქნება და არა – პრემიები.

ამ ფირების გავრცელებით და „ქართულ ოცნებაში“ დაწყებული დაპირისპირებით თავისუფალმა დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა იხეირეს.

***– რანაირად იხეირეს?***

– მათმა რეიტინგმა მკვეთრად მოიმატა. ორივე პარტიაზე ერთდროულად დაიწყო სხვადასხვა ტიპის შეტევები. ეს შემთხვევითი არაა. ვიღაცას ძალიან უნდა, ეს ორი პარტია ტანჯული რაინდების მანტიით შემოსოს. ეს ვიღაც ქვეყნის გარედან მოქმედებს. კრემლის ინტერესებში კი ისეთი ძალების გააქტიურებაა, რომლებიც ნატოს და დასავლეთს გალანძღავენ. საუბარია თოფაძის მაგვარ პოლიტიკოსებზე.

***– ისე გაუჭირდა კრემლს, რომ თოფაძის იმედად დარჩა?***

– რუსეთს ძალიან უჭირს, მაგრამ არა იმდენად, რომ ფსევდო პრორუსული პარტიების იმედად იყვნენ. თუ მართლა თოფაძის იმედად არიან, მაშინ მთლად დაქცეულა ეს ქვეყანა და ეგაა. ჩვენ გვგონია, რომ თოფაძე და მისი ტიპის პარტიები უბრალოდ თავს აწონებენ რუსეთს.

ბოლო ხანებში ქართულ მედიაში ერთი სამწუხარო ტენდენცია გაჩნდა – გოგი თოფაძე და სანდრო ბრეგაძე პატრიოტი რაინდების როლში გამოჰყავთ. არადა, სანდრო ბრეგაძემ რამდენიმე წლის წინ „ჩამიშვა“ და უნდოდა, რომ დავეჭირე. ჩემამდე მან ლაშა ამირეჯიბი, ვალერი გელბახიანი და გიორგი თარგამაძე დააბეზღა.

***– რას ნიშნავს „ჩაგიშვათ“ ან როდის მოხდა ეს ამბავი?***

– არც ისე დიდი ხნის წინ. მივიდა გიორგი ზედელაშვილთან და მინდია ჯანელიძესთან, უთხრა, კასრელიშვილი ალ შიშანის ანუ თარხან ბათირაშვილის მეგობარიაო.

***– მართლა თქვენი მეგობარია ალ შიშანი?***

– თარხან ბათირაშვილს არ ვიცნობ, ის ჩემთან შედარებით ბავშვია. მისი ძმა კი ჩემი მეგობარია და ამას არასოდეს უარვყოფ. ალ შიშანის ძმა სამხედროდ არის დაბადებული. ტვინით გაძეძგილი პიროვნებაა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის გენშტაბის უფროსი იქნებოდა.

ეს ძმები უერთგულესი და უჭკვიანესი მებრძოლები არიან. ისინი გაჭირვებულ ოჯახში გაიზარდნენ. ისე, რომ იცოდეთ, წოვა-თუშები არიან და დედა ჰყავთ ჩეჩნის ქალი. თარხანმა ამერიკაში გაიარა წვრთნები, აქ ჩამოვიდა და ცხინვალის ომში არნახულად იომა, ყველა რომ გაიქცა, ეგ დარჩა. იმის მაგივრად, რომ მედალი მიეცათ, ციხეში შეაგდეს. 3 წლის მანძილზე ცდილობდა რეაბილიტაციას. მთელი ეს პერიოდი სოფელში იჯდა და საჭმლის ფულიც კი არ ჰქონდა.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ილია ჭავჭავაძეს შუბლში ტყვია ესროლეს და რა გასაკვირია, გმირები არ უყვარდეთ. ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლები კი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებენ ასეთ ხალხს, თარხანიც იპოვეს. რამდენჯერმე შესთავაზეს დიდი ფული მათთან წასვლის სანაცვლოდ. ბოლოს დათანხმდა, ბიჭს პურის ფული არ ჰქონდა და არც რაიმე პერსპექტივა. წავიდა და როგორი ბიჭიც ყოფილა, ყველამ დავინახეთ. რიგითი ჯარისკაცობით დაიწყო და სარდალია.

სხვათა შორის, ამ ბიჭის დიდი დამსახურებაა, საქართველოში ისლამისტებს არაფერი რომ არ მოუწყვიათ. ეს ჩვენი სპეცსამსახურების დამსახურებაც არის, ისინიც კარგად მუშაობენ ამ მიმართულებით.

***– დაჭერას როგორ გადაურჩით?***

– როგორ გადავურჩი და ხელისუფლებაში, საბედნიეროდ, არიან საღად მოაზროვნე ადამიანები. სანდრო ბრეგაძე და გოგია თოფაძე კი მედიას გმირებად გამოჰყავს.

***– მოდით, ისევ რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატების ამბავს დავუბრუნდეთ. ამბობთ, ვიღაცას სურს, რომ მათ ტანჯული რაინდების იმიჯი შეექმნათ. ვინ არის ამით დაინტერესებული?***

– რესპუბლიკელებზე და ალასანიას ხალხზე განხორციელებულმა შეტევებმა დასავლეთის თვალში ამ 2 პარტიის ავტორიტეტი გაზარდა. უნდა ნახოთ, რა ამბავში არიან მათი პატრონები დასავლეთში. ისინი პირდაპირ და ღიად აცხადებენ, რომ საქართველოში პროდასავლურ პოლიტიკურ ძალებზე იდეოლოგიური და ფიზიკური შეტევა დაიწყო.

ამან დასავლეთში „ქართული ოცნების“ ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეარყია.

დასავლეთში უკვე ღიად ამბობენ, რომ პრორუსული ძალების გასაძლიერებლად პროდასავლური ძალების განადგურება მიდის. ეს ამბავი ასე მარტივად არ დასრულდება.

***– ამბობთ, დასავლეთში თავდემების და რესპუბლიკელების ავტორიტეტი გაიზარდაო. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საარჩევნოდ ისინი გაერთიანდებიან?***

– ორივე პარტიის რეიტინგი მკვეთრად არის გაზრდილი, თუმცა არა მგონია, ეს გაერთიანება შედგეს. კოალიცია „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელებს არაფრით არ შეელევა.

***– ექსპერტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ერთი სული აქვთ, რესპუბლიკელები მოიშორონ.***

– ვერ გეტყვით, რის საფუძველზე აკეთებენ ისინი ამ განცხადებებს. კოალიციაში რესპუბლიკელებს რომ ვერ იტანენ, ამას მეც ვადასტურებ, მაგრამ არსებულ ვითარებაში „ქართული ოცნება“ მათ ვერ შეელევა.

***– რატომ ვერ შეელევიან?***

– „ქართულ ოცნებაზე“ ისედაც ამბობენ, რომ საგარეო კურსი შეცვალა. კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის, გოგი თოფაძის განცხადებები პირდაპირ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. რესპუბლიკელებს თუ გაუშვებენ, მთელი დასავლეთი იტყვის, რომ ხელისუფლებამ კურსი შეცვალა, რაც „ქართული ოცნების“ ინტერესებში არ შედის.

აქედან გამომდინარე არ გვგონია, რომ რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები ერთად გამოვლენ არჩევნებზე. თუმცა პოლიტიკაში არაფერია გამორიცხული. ისე, გვგონია, რომ ეს ორი პარტია და მათ დამატებული გასუფთავებული დემოკრატები კარგ კოალიციას შექმნიან.



არჩევნებამდე დარჩენილ დროში აქ კიდევ ბევრჯერ აირევა სიტუაცია. იმედია, ხელისუფლება კარგად გააცნობიერებს იმ საფრთხეებს, რაც საქართველოს გარედან ემუქრება. ქვეყანას, სადაც ბოზი და გმირი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ, კარგად ცხოვრებაზე პრეტენზია რატომ აქვს, არ მესმის.

ყველაზე ნაკლები ყურადღება საგარეო საფრთხეებზე მახვილდება, ყურადღებით თუ არ ვიქნებით, საქართველო და მასთან ერთად მთელი კავკასია, შესაძლოა რუსეთ–თურქეთის დაპირისპირების პოლიგონად იქცეს. რომელი ქვეყნის სპეცსამსახური რა ტერაქტს მოაწყობს, არ ვიცით და ფარულ ჩანაწერებზე გვაქვს მთელი ყურადღება გადატანილი.

ჩვენს პოლიტიკოსებს უფრო მეტი გამჭრიახობა და პატრიოტიზმი რომ ჰქონოდათ, ამ დაპირისპირებას საქართველოს სასიკეთოდ გამოიყენებდნენ. „ახალ თაობასთან“ საუბარში არაერთხელ მითქვამს, რომ ასეთი შანსი საქართველოს ბოლო 100 წლის მანძილზე არ მისცემია.

დღეს რუსეთს ისე, როგორც არასდროს, აწყობს საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობები. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე დავიწყოთ საუბარი.

***– რის სანაცვლოდ?***

– ამ შემთხვევაში ჩვენ არაფრის დათმობა არ მოგვიწევს. დათმობებზე ჩვენთან მოუწევთ წამოსვლა.

***– თურქეთს რა უნდა დავათმობინოთ?***

– თურქეთის ტერიტორიაზე მილიონობით ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. ჩვენ მათ ბედზე შეგვიძლია დავიწყოთ ზრუნვა. რუსეთის მსგავსად, კავკასიაში არეულობა არც თურქეთს აწყობს.

ადრე თუ გვიან ქურთები ავტონომიას მიიღებენ, ასეთივე პრეტენზიები გაუჩნდებათ იქ მცხოვრებ კავკასიელებსაც. იქ, ჩერქეზების გარდა, მუსლიმი ოსები ანუ დიგორებიც მრავლად სახლობენ. ისინი მეფის რუსეთმა თურქეთში მოჰაჯირობის დროს გაასახლა. თურქეთში ძლიერი კავკასიური დიასპორაა, ეს კარტი მოსკოვმა შესაძლოა ნებისმიერ დროს გაათამაშოს.

ჩვენთვის ძალიან სახარბიელო დრო დადგა და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ კი რას ვაკეთებთ, ფარულ ჩანაწერებს განვიხილავთ!

---

# ნათია ფანჯიკიძე: „მე დავეხმარები ირაკლის ცოცხალიც და დავეხმარები მკვდარიც“



გუშინ, 14 მარტს, ირაკლი ალასანიას მეუღლემ ნათია ფანჯიკიძემ ფეისბუქზე პოსტი დადო, რომელშიც ბოლო დღეებში პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გამოქვეყნებას გამოეხმაურა.

აი, რა წერია ამ პოსტში:

ძვირფასო ბატონო ბიძინა,

მე ვიყავი პირველი მსხვერპლი, ვისაც მოახსენეთ, რომ ის ქალი ვარ, რომლის ქმარსაც ყველა აინტერესებს, ჩემს გარდა და ყოველი ქვეყნიდან გასვლისას სხვა ქალებს დაატარებს საზღვარგარეთ. არ დააყოვნა თქვენი პარტნიორი ნაციონალების აქტივობამაც და წვრილმანი დეტალების საქმის კურსში ჩამაყენეს ვინ, სად, როდის, რა აჩუქა, რას დაპირდა...

მიხარია თქვენი ერთსულოვნება. საერთოდ მიყვარს, როცა ადამიანების კარგ ურთიერთობას ვხედავ, მით უმეტეს, სულიერად მსგავსის.

დიდხანს მე ვიყავი ის, ვისაც ყველაზე მეტად არ უნდოდა ირაკლის პოლიტიკაში ყოფნა. არც არაფერში ვეხმარებოდი. მეუცნაურა კიდეც, რომ ამდენად აფასებდით ჩემს როლს და ჩემი ოჯახის დანგრევა ირაკლის შესუსტებად მიგაჩნდათ. ვერ გაითვალისწინეთ ერთი რამ, არათუ გაუცხოებული, არათუ გაბრაზებული, გულნატკენი...

რა სასაცილოა, სხვადასხვა ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, ასი ახალი ცოლი რომ მოიყვანოს, ირაკლი არის ის ადამიანი, ვის გამოც ყოველ წამს ვარ და ვიქნები მზად, თვალისდაუხამხამებლად მოვკვდე, რადგან ვთვლი, რომ მისი მსგავსი ადამიანები იშვიათად იბადებიან და მას ძალიან ბევრი, ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმე აქვს გასაკეთებელი.

ჩვენ ორს შორის პირველი მე ვკვდები. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა იმ დღიდან, რა დღესაც მე ის გავიცანი.

მე დავეხმარები ირაკლის ცოცხალიც და დავეხმარები მკვდარიც, რომ ეს ქვეყანა გაიყვანოს სინათლეში.

---

# ინგა გრიგოლია: „მუქარის არ მეშინია და არც გაჩუმებას ვაპირებ“

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ფეისბუქის საკუთარ გვერდზე იმ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები მალე ჟურნალისტებზეც გამოქვეყნდება.

**ინგა გრიგოლია:**

– როგორც მეუბნებიან, პირადი ცხოვრების ამსახველ ახალ ვიდეოში, რომლის გამოქვეყნებასაც აპირებენ, თურმე ჩემი გვარიც დაანონსდა. მე არ ვაპირებ ჩირგვებში ჯდომას და



ნერვიულობას ამ თემაზე...

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მსგავსი შანტაჟის და მუქარის არ მეშინია და არც გაჩუმებას ვაპირებ და უფრო მეტად მოვედი ბრძოლის ხასიათზე... მირეკეს, მწერეს და ჩემი შვილის გარდა, ვერავინ გაბედა ეთქვა, რომ ჩემი გვარი დაანონსდა, ვისი პირადი ცხოვრების გასაჯაროებასაც აპირებენ, თუ ქვეყნიდან და პოლიტიკიდან(?????) არ წავალ... დააშანტაჟეთ და შეაშინეთ, ვინც შეგიშინებიათ!!! მე ღიად ვხსნი ამ თემას... თუ ასეთ ქვეყანაში უნდა გვაცხოვრონ, მაშინ თავს შევაკლავ ჩემი და სხვა ადამიანების უფლებებისთვის ბრძოლას, – წერს გრიგოლია.

* * *

შეგახსენებთ, რომ 11 მარტს სოციალურ ქსელში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო გავრცელდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის დანაყოფებთან თანამშრომლობის შედეგად, ყოუტუბე.ცომმა უკანონოდ ატვირთული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა გავრცელებიდან დაახლოებით 1 საათში დაბლოკა.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო მანჯავიძე: „პირადი ცხოვრების ფაილების განადგურება მასკარადი იყო“

## „ხელისუფლებას დესტაბილიზაცია არ აწყობს“

მარიამ მჭედლიშვილი

საზოგადოება აღშოთებულია პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ტირაჟირებით. ადამიანებს ნაკლებად სჯერათ, რომ გამოძიება უახლოეს ხანში გამოიკვლევს ამ ვიდეოების შემქმნელებს და გამავრცელებლებს.

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სოსო მანჯავიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ასეთი კადრების გავრცელების შეჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. პირადი ცხოვრების ამსახველი უამრავი მასალა არსებობს, მათ შორის – საზღვარგარეთ. ისინი არ განადგურებულა. კომპრომატების მოგროვება საბჭოთა უშიშროების სამსახურებისთვისაც იყო დამახასიათებელი, სააკაშვილის რეჟიმის დროს კი ამან მანიაკალური ხასიათი შეიძინა.

**სოსო მანჯავიძე:**

– ამ ვიდეოების შექმნაც და გავრცელებაც ამაზრზენი მოვლენაა. არ ვიცი, ახლა ვის დასჭირდა მათი ტირაჟირება. ხელს ვერავის დავადებ. ძირითადად, განიხილავენ სამ ვერსიას. პირველის თანახმად, ამას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აკეთებს. მეორე ვერსიით, ამის უკან ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ დგანან. მესამე ვერსიით, ამ გზით სხვა პოლიტიკური პარტიები ებრძვიან კონკურენტებს.

კომპრომატების გამოყენება საქართველოში ახლა არ დაწყებულა. ამას დიდი ხნის ისტორია აქვს. ახლა უფრო მეტად გამოაშკარავდა ის მანკიერი სქემები, რომლებიც დიდი ხანია მოქმედებს.

***– რომელ სქემებზე საუბრობთ?***

– ჯერ კიდევ საბჭოთა უშიშროების სამსახურები იყენებდნენ კომპრომატებს. გასვრილი პირები ინიშნებოდნენ თანამდებობებზე. ასეთი ჩინოსნები ადვილად იმართებოდნენ. შევარდნაძის დროს ეს სქემა მაღალ ხარისხში ავიდა, სააკაშვილის მმართველობისას კი მანიაკალური სახე მიიღო.



საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში უამრავი რუსეთის აგენტი აღმოჩნდა საკვანძო ადგილებზე. მათი მონაწილეობით რუსეთმა საქართველოდან გაიტანა არქივები, რითიც მოისპო აგენტების გამოვლენის საშუალება. მოქალაქეთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული, კომპრომატების გამოყენება სხვებმაც დაიწყეს – ქვეყანაში სხვა ტიპის აგენტურა, ნაციონალური უსაფრთხოების ტიპის აგენტურაც გააქტიურდა და ამუშავდა ახალი ინკუბატორი, ანუ კადრების შერჩევის ახალი სისტემა. ამ სისტემით, პოლიტიკურ თანამდებობებზე მართვადი კომპრომეტირებული პირები უნდა დანიშნულიყვნენ.

ამ ახალი კადრების დამახასიათებელი თვისებებია დიდი პატივმოყვარეობა და კომპრომატები. მათ ხალხის მოსატყუებლად წინ უნდა წამოეწიათ ეროვნული სენტიმენტები, მიმზიდველი ლოზუნგები. სასურველი იყო, რომ ისინი ყოფილიყვნენ სექსუალური, რელიგიური ან სხვა სახის უმცირესობის წარმომადგენლები. პოლიტიკური და საინფორმაციო ელიტა ასე იქმნებოდა.

***– ანუ, სააკაშვილის მმართველობის დროს გადაღებული და დამზადებული კადრების გარდა, კომპრომატები ამ სქემების საფუძველზე გროვდებოდა?***

– დიახ. საბჭოთა უშიშროების მეთოდიკას დაემატა ინკუბატორი, რომელთანაც იდეოლოგიურად ახლოსაა „თავისუფლების ინსტიტუტი“, ნაციონალური მოძრაობა, რესპუბლიკური პარტია და სხვა.

***– ახლა ვის დასჭირდა პოლიტიკოსების კომპრომატების ფრიალი?***

– არ ვიცი. მმართველ გუნდს რომ უნდოდეს რომელიმე ადამიანის პოლიტიკიდან ჩამოცილება, მას ასე არ მოექცეოდა. დაიბარებდნენ ასეთ პირს და ეტყოდნენ, წადიო. ვინც ამას აკეთებს, იმას არსებული პოლიტიკური კონსტრუქციის მოშლა, სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტება და დესტაბილიზაცია უნდა. თბილისში თითქმის ყველამ იცოდა ზოგიერთ პირზე ვიდეოების და კომპრომატების არსებობა. ისინი თანამდებობებზე მაინც ინიშნებოდნენ.

***– ამის შეჩერება არ შეიძლება?***

– საუბედუროდ, ეს გამოძიებით შეუძლებელია. როცა გამოგვიცხადეს, ფაილებს ვანადგურებთო, ეს მასკარადი იყო. სააკაშვილის რეჟიმმა უამრავი მასალა დააგროვა. ასლი ბევრია. ვინ როდის დადებს და გაავრცელებს ამ ვიდეოებს უცხოეთიდან, კაცმა არ იცის. კომპრომატები მარტო პოლიტიკოსებზე არ აქვთ. ძირითადად, ეს ერთი წრეა – ზოგმა დაამზადა, ზოგმა გაავრცელა. ვისზედაც ავრცელებენ კადრებს, ეს მისთვის მორალური მკვლელობაა. თუ ის უზნეო სქემები არ მოიშალა, რომლებიც კომპრომატების შეგროვებაზეა აწყობილი, არაფერი გვეშველება.

უნდა მოიშალოს ეს სქემები. სახელგატეხილები არ უნდა ინიშნებოდნენ თანამდებობებზე. სხვა შემთხვევაში, კომპრომატების გამოქვეყნება არ შეწყდება, მით უმეტეს, საარჩევნოდ.

***– უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებსაც შეუძლია დესტაბილიზაციის გამოწვევა?***

– უნივერსიტეტში კრიზისული სიტუაციაა, რომელიც აუცილებლად უნდა განიმუხტოს. რექტორი ლადო პაპავა ვერ მართავს სიტუაციას. ამ უმაღლეს სასწავლებელზე კონტროლის დამყარებას ცდილობენ ლიბერალური ჯგუფები, რომლებიც „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგიას მისდევენ.

# აფხაზეთი სამოქალაქო ომის ზღვარზეა

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. რუსი ექსპერტების შეფასებით, რესპუბლიკაში მიმოზის სურნელზე მეტად დენთის სუნი იგრძნობა. ოპოზიცია რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს ითხოვს და ამ თემაზე სახალხო რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს.



აფხაზური მედიის ცნობით, საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც 46 კაცისგან შედგება, რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით ცესკოს უკვე მიმართა. საინიციატივო ჯგუფს დაურ ტანია ხელმძღვანელობს.

– ქვეყანაში კრიტიკული ვითარება შეიქმნა. გამოსავალი მხოლოდ რიგგარეშე არჩევნებია. ამიტომაც ვითხოვთ რეფერენდუმის ჩატარებას, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დაურ ტანიამ.

რუსი ექსპერტების შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ რეფერენდუმის ჩატარებას მხარს უჭერს არა პოლიტიკოსების ვიწრო წრე, არამედ მოსახლეობის დიდი ნაწილი.

რეფერენდუმის ჩასატარებლად 10.000 ადამიანის ხელმოწერაა საჭირო. აფხაზური პრესის ცნობით, ოპოზიციას ეს არ გაუჭირდება, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი არსებული ხელისუფლებით უკმაყოფილოა. ყველაზე მეტი პრეტენზია პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მისამართით ისმის.

ხაჯიმბას ოპოზიცია პოლიტიკური კურსის შეცვლაში, კონსტიტუციის დარღვევასა და კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებს.

აფხაზეთის ომის ვეტერანები, რომლებსაც აფხაზეთის გმირის წოდება აქვს მინიჭებული, ხაჯიმბას სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობას უხსენებენ. მათი მტკიცებით, მან პრეზიდენტის პოსტი მხოლოდ ანქვაბის ჩამოგდების შემდეგ დაიკავა.

– 2014 წლის გადატრიალებამ საზოგადოება გახლიჩა. ეს დაპირისპირება სულ უფრო ღრმავდება, – აცხადებენ ომის ვეტერანები.

ისინი პირობას დებენ, რომ არაფრით დაუშვებენ, აფხაზეთი ბანანის რესპუბლიკას დაემსგავსოს.

– ხელისუფლების ქმედებებით გამოწვეული უკმაყოფილება ყოველდღიურად იზრდება. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ აფხაზეთი ბანანის რესპუბლიკას დაემსგავსოს, სადაც წელიწადნახევარში ერთხელ პრეზიდენტს ჩამოაგდებენ. შექმნილ ვითარებაში ყველაზე ჭკვიანური გამოსავალი რეფერენდუმია, – ნათქვამია ომის ვეტერანების საგანგებო განცხადებაში.

ისინი ხელისუფლებას ურჩევენ, ხელი არ შეუშალოს რეფერენდუმის ჩატარებას.

– რეფერენდუმისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში პროცესები შესაძლოა სამართლებრივი ჩარჩოებიდან გამოვიდეს, რაზეც პასუხისმგებელი ხელისუფლება, კონკრეტულად კი, რაულ ხაჯიმბა იქნება, – ამბობენ ვეტერანები.

ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ რეფერენდუმი არ ჩატარდეს.

ორგანიზაციის „ქალები პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ირინა აგრბა აცხადებს, რომ ქალაქების და რაიონების ხელმძღვანელებმა ზევიდან დავალებები მიიღეს.

– მათ უთხრეს, რომ ყველანაირად შეუშალონ ხელი რეფერენდუმისთვის საჭირო ხელმოწერების შეგროვებას. ყველაზე სახიფათო ისაა, რომ ქალაქების და რაიონების ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს მოსთხოვეს, რეფერენდუმის საწინააღმდეგო ხელმოწერები შეაგროვონ, – ამბობს აგრბა.

მისი მტკიცებით, ხელისუფლება როგორც არ უნდა ეცადოს, რეფერენდუმის ჩატარებას ხელს ვერ შეუშლის.

თუ ხელისუფლება თავისას გაიტანს და რეფერენდუმს ჩაშლის, ორგანიზაცია „ამცახარა“ სხვა გეგმის ამოქმედებას აპირებს.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, ისინი რიგგარეშე არჩევნების თემაზე დიდი სახალხო კრების ჩატარებას აპირებენ. აღსანიშნავია, რომ „ამცახარა“ აფხაზეთში დიდი გავლენით სარგებლობს.

როგორც მოსალოდნელი იყო, რეფერენდუმის ჩატარების იდეას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ.

მათ შორის ყველაზე მეტად ახლახან შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აფხაზეთი ჩემი სახლია“ აქტიურობს.

– აფხაზეთში ისეთი არაფერი ხდება, რომ პრეზიდენტს უნდობლობა გამოვუცხადოთ, – აცხადებენ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ოპოზიციისგან განსხვავებით, რესპუბლიკაში არსებულ რთულ ვითარებას ხელისუფლება რუსეთს აბრალებს. აცხადებენ, რომ მთელი რიგო ვალდებულებები მხოლოდ იმის გამო ვერ შეასრულეს, რომ მოსკოვს ეკონომიკური პრობლემები შეექმნა.

ამ განცხადებამ რუსი ექსპერტების გაღიზიანება გამოიწვია. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სოხუმი ყველა წარუმატებლობას მოსკოვს აბრალებს.

– იქნება დადგა დრო, რომ აფხაზებმა თავიანთ წარუმატებლობაზე თავად აიღონ პასუხისმგებლობა. აფხაზეთში რატომღაც თვლიან, რომ ისინი უფრო მეტ საქმეს უკეთებენ რუსებს, ვიდრე რუსები – მათ, – მიაჩნიათ ექსპერტებს.

რუსი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ ხელისუფლება დათმობაზე არ წავა, საქმე შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს. პრეზიდენტის ჩამოგდებას აფხაზები უკვე მიეჩვივნენ და არაა გამორიცხული, ხაჯიმბამ ანქვაბის ბედი გაიზიაროს.

2014 წლის მაისში სწორედ ხაჯიმბამ და კომპანიამ ჩამოაგდეს ანქვაბი. როგორც აფხაზეთში ამბობენ, ახლა უკვე ანქვაბის ჯერია. თუმცა, შესაძლოა, ხაჯიმბა, წინამორბედისგან განსხვავებით, თანამდებობას იოლად არ შეელიოს. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ალბათ მაინც რუსეთი მიიღებს. მოსკოვს კი ახლა აფხაზეთში არეულობა არ აწყობს.

კრემლმა კარგად იცის, რა თბილი ურთიერთობა აქვთ აფხაზებს თურქებთან. ისიც იციან, რომ თურქული გავლენა აფხაზეთზე ბოლო ხანებში გაიზარდა. აქამდე ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ ახლა სხვანაირად არის საქმე.

სწორედ ამას უკავშირებენ აფხაზეთში სომხების როლის გაძლიერებას. ისინი რაოდენობითაც მნიშვნელოვნად აღემატებიან აფხაზებს. თურქებთან სომხებს მძიმე ურთიერთობა აქვთ. აქედან გამომდინარე რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რომ სომხების გავლენა კიდევ უფრო გაიზარდოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზეთში გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც რესპუბლიკის რეალურ დამოუკიდებლობას უჭერენ მხარს, სომხებს კი რუსეთის მიმართ სხვა დამოკიდებულება აქვთ.

აქედან გამომდინარე მოსკოვმა, შესაძლოა, აფხაზეთში სომხური კარტი გაათამაშოს. მათი დახმარებით კრემლი სოხუმში მისთვის სასურველ სურათს შექმნის.

# გიორგი მარგველაშვილი: „მე ძალიან მდიდარი სექსუალური ცხოვრება მაქვს“

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნების შესახებ საგანგებო განცხადება გააკეთა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებიან, მაგრამ უპირველესად, ქართველმა საზოგადოებამ უნდა დაანახოს იმ ხალხს, ვინც შანტაჟს ეწევა, რომ ჩვენ მსგავსი თემა არ გვაინტერესებს.

გიორგი მარგველაშვილი:

– ჩვენ შევიკრიბეთ იმ შემაშფოთებელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი კლიმატის გამო, რომელიც საქართველოშია. პირველ რიგში მინდა მივმართო იმ ადამიანებს, რომლებსაც პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გასაჯაროებით ემუქრებიან – მე თქვენ გვერდით ვდგავარ და მუდამ დაგიცავთ. მუდამ სოლიდარული ვიქნები. ამის პასუხად შემიძლია ღიად ვთქვა, რომ სექსი და სექსუალური ცხოვრება სამარცხვინო არაა. მე პირადად მაქვს და მქონია ძალიან მდიდარი სექსუალური ცხოვრება და ამ თემას და თქვენ ყოველთვის დაგიცავთ.

ახლა კი მოგმართავთ თქვენ, ვინც აპირებთ, რომ ჩემი მოსახლეობა აშანტაჟოთ – თითოეულს გიპოვით. საქართველოში ადამიანების შეშინებასა და ტერორს ვერ გაიტანთ. მინდა მივმართო ქართულ საზოგადოებას, ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და უნდა გავხდეთ თავისუფლები. იმისთვის, რომ ვიყოთ თავისუფლები, არ უნდა გვეშინოდეს შანტაჟის. ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც ამ ამაზრზენ ვიდეოებს ასაჯაროებს და ამ პროცესს დააკვირდება, უნდა იცოდეს, რომ ფარული თვალთვალის მონაწილე ხდება.



მინდა გითხრათ, რომ დილიდან აქტიურად ვარ ამ თემაში ჩართული მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად და მინდა გითხრათ, რომ მთავრობა ყველა თავისი რესურსით მობილიზებულია და კოორდინირებულად მუშაობს. ეფექტი ნამდვილად იქნება. შეიძლება, კონკრეტული დანაშაული გაიხსნას, მაგრამ თუ საზოგადოება არ გადააბიჯებს იმას, რომ ვიღაც ფიქრობს, – შეძლება ეს ჩვენ გვაინტერესებდეს და ეს თუნდაც პოლიტიკურ ცხოვრებას შეცვლის, ამას ჩვენ მთელმა ქართულმა საზოგადოებამ უნდა გავცეთ პასუხი ღიად, ამის დაგმობით.

აბსოლუტურ გარანტიას გაძლევთ, რომ ეს ბრძოლა მოგებული იქნება და ის ნაძირლები, რომლებიც შანტაჟს ცდილობენ, სამაგალითოდ დაისჯებიან.

**ნიუსპრესი**

# ნანა კაკაბაძე: „კადრების განადგურება ხელისუფლების დანაშაული იყო“

ნონა ცაბაძე

## „პასუხისმგებლობა არასამთავრობოებსაც ეკისრებათ“





უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფარული ჩანაწერების თემას ეხმიანება.

***— ქალბატონო ნანა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები აღნიშნული კადრების გავრცელებაში ბრალს ხელისუფლებას სდებენ. რამდენად არის ხელისუფლება ამაში დამნაშავე?***

— სწორედ ეს არის აქ მთავარი, რომ ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს იშვერენ ხელისუფლებისკენ. სწორედ ეს ოპოზიცია და განსაკუთრებით კი არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ უნისონში, როდესაც მოითხოვდნენ არა რეჟიმის გასამართლებას და სისტემური დანაშაულებების გამოვლინებას, არამედ კადრების განადგურებას. ერთადერთი ადამიანი, ვინც ადეკვატური იყო ამ პროცესში და ვინც სწორად მოითხოვდა სამართლებრივი მიმართულების მიცემას ამ პროცესისთვის, იყო კახი კახიშვილი.

***— არ უნდა განადგურებულიყო ეს კადრები?***

— რასაკვირველია, არა, რადგან ეს იყო მტკიცებულება მათ წინააღმდეგ, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა. მოსაფიქრებელი იყო ფორმა, როგორ უნდა მომხდარიყო ამ ადამიანების გასამართლება, დახურული სხდომები უნდა ჩატარებულიყო და მხოლოდ მოსამართლეებისთვის უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი ეს მასალა. კადრების განადგურება კი უდიდესი დანაშაული იყო. დღეს ამ სულელურ გაერთიანებაში რომ არიან თავმოყრილები ეს არასამთავრობოები, სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა.

***— რაზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა?***

— იმაზე, რომ ხელი შეუშალეს კადრების განადგურებას.

***— რა დაშავდა კადრების განადგურებით?***

— ამით მოხდა ის, რომ ამ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოძიება არც დაწყებულა. პირიქით, ამ ადამიანებს მიეცათ საშუალება, რომ ამ კადრებით ევაჭრათ. მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს კადრები არის გაყიდული.

***— რას ნიშნავს გაყიდული?***

— იმას, რომ ვიღაცამ შეისყიდა, სწორედ პირადი ანგარიშსწორების მიზნით. მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს კონკრეტულმა პოლიტიკურმა ძალამ გამოიყენოს. ის პოლიტიკოსი, ვისზეც ეს კადრები გავრცელდა, ნამდვილად არ წარმოადგენდა იმგვარ საფრთხეს, რომ მისი ჩამოშორების მიზნით იყოს ეს გამოყენებული.

***— მაშინ რა პროცესთან გვაქვს საქმე?***

— აქ სხვა პროცესია. მე წინ არ გავუსწრებ მოვლენებს. ამას გამოძიება იტყვის, არ მინდა ამით საქმეს ვავნო.

***— ეს იყო ხელისუფლების შეცდომა, კადრები რომ გაანადგურა, თუ ზეწოლას ვერ გაუძლო?***

— შეცდომა კი არა, ეს იყო უდიდესი დანაშაული! როგორ შეიძლება მტკიცებულებების განადგურება?! როგორ შეიძლება, ამაზე გადაწყვეტილება მიიღოს რაღაცა ჯგუფმა?! გამოძიება დაწყებული არ არის და მტკიცებულებებს ანადგურებ? ეს არის პირდაპირ კრიმინალი!

***— ვრცელდება ინფორმაციები, რომ ამ ყველაფერს კურირებს მეგის ქარდავა, რომ ის ვაჭრობს ამ თემით ახალ ხელისუფლებასთან, რომ ჩანაწერების ასლები მასთან ინახება. ამის თაობაზე რას იტყვით?***

— მერე და ვინმე მივიდა მეგის ქარდავამდე?! გამოძიება დაინტერესდა მისით? ახლა როგორ უნდა გამოიძიონ? მტკიცებულება განადგურებულია, ვის რას დაუმტკიცებენ?! ან როგორ უნდა მოხდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღძვრა და დამნაშავეების დასჯა, ვინც ამ ჩანაწერას, თვალთვალს და მიყურადებას აწარმოებდა. სასამართლოზე მტკიცებულებად რა უნდა იქნეს წარდგენილი?! ეს კიდევ უფრო შორს წასული პროცესია. წლების შემდეგაც შეუძლიათ ეს კადრები გამოიყენონ. ეს პროცესი თვითდინებაზე მიუშვეს. ეს ვითომ მეტრები ადამიანის უფლებების დაცვის დარგში გააქტიურებას რომ გვიანონსებენ, დაანგრიეს ქვეყანა და მეტი რაღა უნდა გააქტიურდნენ?!

***— ანუ ეს მიზანმიმართული პროცესია და ხდება ხელისუფლების დისკრედიტაცია?***

— ეს თუ ვინმეს არ აწყობდა, არ აწყობდა ხელისუფლებას! ეს ორჯერ ორი ოთხია. დღეს პასუხს აგებენ არა ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება ამის განადგურებაზე, არამედ პასუხისმგებლობა მოდის ხელისუფლებაზე.

***— თქვენ ამტკიცებთ, რომ არასამთავრობოებმა მიზანმიმართულად ხელი შეუწყვეს იმ პროცესს, რომ დამნაშავე არ გამოვლენილიყო?***

— ხელი შეუწყო კი არა, იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ამ პროცესებისა. რომელი მათგანი გამოვიდა და რომელმა თქვა, რომ რას შვებით, ეს დანაშაულია. დღეს ხელს ხელისუფლებისკენ გაიშვერენ და ხელისუფლებას ეს უნდა სცოდნოდა. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ განაცხადა, რომ კადრები გაანადგურა, პროცესი უმართავი და უკონტროლო გახადა! მე ვფიქრობ, რომ კონკრეტული პირები დღეს ამ ვიდეო მასალებს ყიდულობენ იმ პირებისგან, ვინც ეს გადაიღო თავის დროზე.

***— რა მიზნით?***

— ეს უკვე სხვა საკითხია. მომგებიან ბიზნესად იქცა ქვეყანაში ფირებით ვაჭრობა. თუ ეს ყველაფერი გამოძიებული იქნება ნორმალურად და სწორად, დაინახავენ, რომ ბიზნესის შედეგად აღმოჩნდა ეს ვიღაცის ხელში.

მე არც ის მგონია, რომ ეს ნაციონალურმა მოძრაობამ დადო, რადგან ხომ უნდა იყოს ამის უკან რაღაცა ინტერესი? ვერანაირ ინტერესს ვერ ვხედავ ვერც მათი მხრიდან. აქ რაღაც სხვა ხდება, რასაც სჭირდება გამოძიება.

მე ასე ვფიქრობ, რომ ეს ერთმა გაყიდა და მეორე დაინტერესებულ პირს მისცა ხელში. გამოდის, რომ აღებ-მიცემობა და ვაჭრობა მუდმივად იქნება ამასთან დაკავშირებით. ხელისუფლება კი მუდმივად ასეთ სიტუაციაში იქნება. უმკაცრესად დავსჯითო. ვერაფერსაც ვერ დასჯი! იმიტომ, რომ ხელში არაფერი გიჭირავს!

# ბიძინა გუჯაბიძე: „რუსეთთან ულტიმატუმებით არაფერი გამოგვივა“

გულიკო ბალაძე



პარტია კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი ბიძინა გუჯაბიძე აცხადებს, რომ ისინი არსად წასვლას არ აპირებენ, კოალიციაში რჩებიან და იქნებიან იმ ძალასთან, რომელსაც წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილი.

***— ბატონო ბიძინა, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მრეწველებსა და რესპუბლიკელებს შორის დაპირისპირებამ კოალიციის დანარჩენი პარტიები აუტსაიდერის როლში ჩაგაყენათ. რა გეგმები გაქვთ კონსერვატორებს ამ ეტაპზე? როგორ ფიქრობთ გასვლას არჩევნებზე, კოალიციურ რეჟიმში თუ დამოუკიდებლად?***

— მე არ ვთვლი, რომ კონსერვატორები აუტსაიდერის მდგომარეობაში ვართ. ჩვენ გვწამს, რომ კონსერვატორული იდეოლოგია ერთ-ერთი ფუძემდებლურია ქართულ სახელმწიფოებრიობაში. მიუხედავად 21-ე საუკუნისა, ქართველების დაახლოებით 70-80%, თავისი სულიერი მდგომარეობით და მენტალობით, კონსერვატორია. ამ რესურსის რეალიზაციას არჩევნებში როგორ შევძლებთ, ჩვენზეა დამოკიდებული.

***— კოალიციაში საუბარი რომ დაიწყო, რესპუბლიკელები წავიდოდნენ თუ მრეწველები, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სხვა სუბიექტების კოალიციაში დარჩენის საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.***

— ჩვენ კოალიციაში ვრჩებით. ყველაზე სანდო ძალა ჩვენ ვართ. ჩვენ დაშლაზე არასოდეს არაფერი გვითქვამს. ახლაც ამ მდგომარეობას ვინარჩუნებთ. ვიქნებით იმ ძალასთან, რომელსაც წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილი და არსად წასვლას არ ვაპირებთ.

***— შიდა ქართლში კონფლიქტისპირა ერთ-ერთ სოფელში რუსი ჯარისკაცები გააქტიურდნენ, ქართველების ბაღებში გზა გაჰყავთ და ვაშლის ხეებს ჭრიან.***

— ფეისბუქზე წავიკითხე ინფორმაცია, მაგრამ სრული არ გახლდათ. შეიძლება გზას აკეთებენ მიმოსვლისთვის. რუსს ეს ტერიტორია ოკუპირებული აქვს, თავისად თვლის და, რაც უნდა, იმას აკეთებს. პრეტენზიები და ულტიმატუმები რომ წავუყენოთ რუსეთის ფედერაციას, ჯერჯერობით, არაფერი გამოგვივა. რუსეთი მართლსაწინააღმდეგოდ მუშაობს და, ჯერჯერობით, გასდის. არავის შერჩება მიტაცებული ჩვენი ერთი გოჯი მიწაც კი. იქ მავთულხლართს გაჭიმავს თუ ჯარს შეიყვანს, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე ის, რომ ჩვენ უნდა დაველოდოთ მსოფლიოში ვითარების შეცვლას.

***— შეიძლება ჩვენ ახლა რუსეთს ვერ გავუმკლავდეთ, მაგრამ...***

— ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო მუდმივად აფიქსირებს ჩვენს პოზიციებს. ჩვენ არ გვინდა ულტიმატუმების ენით საუბარი. გვინდა დიპლომატიური გზებით შევატყობინოთ მხარეს, რუსეთი იქნება თუ სხვა მეზობელი სახელმწიფოები, ვინც უნდა იყოს ის, ჩვენ არ მივმართავთ ხმამაღალ განცხადებებს, სანამ ამის საჭიროება არ იქნება. ჩვენ არ ვართ ჯერ ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომ ნებისმიერ ქმედებაზე ვუპასუხოთ.

მოვა დრო, როცა შეცვლილი იქნება ვითარება მთელ მსოფლიოში, რუსეთიც აღარ იქნება ისეთი ძლიერი, როგორიც ახლაა,

***— ეგ გასაგებია, მაგრამ როდესაც სუსი და საგარეო უწყება აცხადებენ, გზა არ გაჰყავთ ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზეო, ეს რას ნიშნავს მაშინ, როდესაც ჩვენი მოქალაქეები დღემდე იმ ტერიტორიებს ამუშავებდნენ, მათი ვაშლის ბაღები იყო. თუნდაც ვერ აკონტროლებდე, ამგვარი განცხადების გაკეთება რამდენად მიზანშეწონილია?***

— ეს არის ვითარების დაფიქსირება და არა ის, რომ ჩვენს ტერიტორიად არ მიგვაჩნია. იქით, სადაც ოკუპაციის ზონაა, ჩვენს ტერიტორიებს ვერ ვაკონტროლებთ. მოხდა ფაქტის დაფიქსირება, რაც არის რეალობა.

***— არა მგონია, მაინც მისაღები იყოს ამგვარი განცხადებები პასუხისმგებლიანი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მხრიდან. მე ვერ მოვიწონებ სუსისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის იმგვარ განცხადებებს, რაც მოვისმინეთ.***

— საგარეო საქმეთა სამინისტრო, სუსი და ნებისმიერი სტრუქტურა ფაქტის დაფიქსირებას ახდენს. ხომ იცით, რაც არის კონტროლირებადი ტერიტორია, მეტს რას ითხოვთ? უბრალოდ ფაქტი აღნიშნეს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ ხდება გზის გაყვანა. ჩვენი ტერიტორია არ არისო, არ უთქვამთ. მავთულხლართების იქით თუ რაღაც ხდება, ჩვენ რას ვიზამთ.

***— მავთულხლართები გავლებული არ არის და ჩვენი მოქალაქეების ბაღებში იჭრებიან და ძირკვავენ ვაშლებს.***

— მე რაც ვნახე, ვაშლი ამოძირკვული არ არის. თუმცა, ნაკვეთი ჩანს. მე სხვა სურათი არ მინახავს და არ ვიცნობ სიტუაციას.

***— თქვენ ფიქრობთ, მსოფლიოში ვითარება იმგვარად შეიცვლება, რომ რუსეთი საოკუპაციო პოლიტიკას ველარ გააგრძელებს?***

— რუსეთის ქმედებები ხშირად არაპროგნოზირებადია, მაგრამ მას არ შეუძლია, მუდმივად შეინარჩუნოს ეს სიტუაცია.

# ფრანგული პრესა: „საქართველოში „სიყვარულის“ საჯაროდ ჩვენება დასჯადია“




ფრანგული რადიო „ფრანსე ინტერნასიონალე“ ეხმაურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ფრანგი რეჟისორის გასპარ ნოეს მიერ გადაღებული გახმაურებული ფილმის „სიყვარულის“ ჩვენების გამო, სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის თანახმად („პორნოგრაფიული ხასიათის მასალების შექმნა და გავრცელება“ ისჯება 2 წლით თავისუფლების აღკვეთით).

ფრანგული რადიოს ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ სამინისტრომ ქვეყნის საუკეთესო ექსპერტები მიიწვია (მათი ვინაობა დასახელებული არ არის), რომლებმაც დაადგინეს, რომ „სიყვარული“ პორნოგრაფიულ ფილმს წარმოადგენს. ამიტომაც შს სამინისტრო აფრთხილებს კინოთეატრების მფლობელებს, საკაბელო ქსელებსა და და ინტერნეტ-პროვაიდერებს, რომ ამ ფილმის ჩვენების გამო ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. ერთადერთი გამონაკლისი საკაბელო ტელევიზიებზეა დაშვებული, თუმცა ფილმის ჩვენება იქაც შეზღუდვით, კოდირებული სახით არის დაშვებული.

— ქართველი სამართალდამცველების პოზიციამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ჯერ ერთი, რომ რადგანაც „სიყვარულის“ კინომსახიობები და მათ მიერ განსახიერებული პერსონაჟები ყველა ზრდასრული ასაკის ადამიანია, ისე გამოდის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სურს ბრალი წაუყენოს ფილმის რეჟისორს და მათ, ვინც ამ ფილმს გაავრცელებს. აბსურდული სიტუაცია იქმნება: „სიყვარული“ გასულ წელს კანისა და ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენეს და მაშინ არავითარი კითხვები არ გაჩენილა. გარდა ამისა, გაუგებარია, კონკრეტულად რომელი ექსპერტები მონაწილეობდნენ ფილმის „პორნოგრაფიულად“ შეფასებაში. ნუთუ ის ექსპერტები უფრო კომპეტენტურები არიან, ვიდრე კანის კინოფესტივალის საორგანიზაციო საბჭოს წევრები?

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მომხდარი ფაქტი „სიტყვის თავისუფლებისა და თვითგამოხატვის“ შეზღუდვად მიიჩნიეს. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ უკვე მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნეს ის დებულება, რომელიც მორალურად საეჭვო მასალების გავრცელებას ზღუდავს. რაც შეეხება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციას, მას ჯერ თავისი აზრი არ გამოუთქვამს, თუმცა ცნობილია, რომ უმაღლესი სასულიერო პირები ჯერ კიდევ ბათუმის კინოფესტივალის დროს იყვნენ ამ ფილმის ჩვენების წინააღმდეგნი. უფრო მეტი — მათ მხარი სხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებმაც დაუჭირეს, — ნათქვამია ფრანგული რადიოს მასალაში.

**ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პოროშენკომ სააკაშვილი გადააყენა?

შორენა მარსაგიშვილი



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც პრემიერ არსენ იაცენიუკის შემცვლელად მოიაზრება, შესაძლოა თანამდებობის გარეშე დარჩეს.

ინტერნეტპორტალ „ოდესიტტ.უა“-ს ინფორმაციით, უკრაინის პრეზიდენტმა მისი მოხსნის განკარგულებას ხელი უკვე მოაწერა.

გამოცემა ამ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაახლოებულ პირზე დაყრდნობით ავრცელებს. წყაროს ცნობით, უკრაინის პრეზიდენტმა სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორობიდან მოხსნა.

როგორც „ოდესიტტ.უა“-ს წყარო ამტკიცებს, განკარგულებაზე, რომელსაც პოროშენკომ ხელი მოაწერა, თარიღი მითითებული არ არის.

პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირის ცნობით, პრობლემა არა სააკაშვილის გადაყენებაში, არამედ მის შემცვლელშია.

„ოდესიტტ.უა“-ს ინფორმაციით, პოროშენკომ ოდესის ახალი გუბერნატორი ჯერ ვერ შეარჩია.

გამოცემის ინფორმაციისთვე, ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. მათგან ზოგიერთი ცნობილი პოლიტიკოსია, ზოგიც შედარებით უცნობი სახეა.

სააკაშვილის შესაძლო გადაყენებაზე გავრცელებულ ინფორმაციას უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები არ ადასტურებენ. ამ ინფორმაციას უარყოფენ ნაციონალურ მოძრაობაში.

მოაწერა თუ არა სააკაშვილის გადაყენების ბრძანებას ხელი პოროშენკომ, ამას მალე გავიგებთ. მანამდე კი ოდესაში სააკაშვილის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო.

ოდესაში ამ დღეებში საკმაოდ ხალხმრავალი აქცია გაიმართა. ქალაქის ქუჩებში დადიოდა მიკროავტობუსი, რომელზეც სააკაშვილის კარიკატურა და წარწერა: „გამოაგდეს თბილისიდან, გავაძევოთ ოდესიდანაც!“ იყო გაკრული.

მანქანაზე დამონტაჟებული იყო მეგაფონი და ხმამაღლა მოუწოდებდნენ მოსახლეობას, ხელი მოეწერათ სააკაშვილის გაძევების მოთხოვნით შექმნილ პეტიციაზე. აქცია უკრაინის სახალხო დეპუტატის, დიმიტრი გოლუბოვის სახელით ჩატარდა.

* * *

უკრაინული პორტალი „Информационный центр“-ი, მიხეილ სააკაშვილის შესახებ ვრცელ მასალას აქვეყნებს და იმ ქართველი ჩინოვნიკების რეზიუმეების შესახებ წერს, რომლებსაც ამჟამად უკრაინაში თანამდებობები უკავიათ.

უკრაინაში სააკაშვილი კორუფციასაც ებრძვის და თავის გარშემო საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები შემოიკრიბა.

ამას ოდესელი პოლიტიკოსი **ვიაჩესლავ ლაზაროვი** ასე აფასებს:

– ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილი თავის თანამემამულეებს ირგვლივ რამდენიმე მიზეზის გამო იკრებს: პირველი – ძმაკაცებს საკვები ხომ უნდა ჰქონდეთ? მათთვის ქართული საკვები ბაგა დაიხურა, დასავლეთში კი მათ არავინ სამსახურს არ მისცემთ; მეორე – ტოტალური უნდობლობა ადგილობრივი უკრაინელი პოლიტიკოსების მიმართ, „მაიდნელების“ წარმომადგენლების მიმართაც კი. რამე რომ მოხდეს, მიხეილ სააკაშვილს უკრაინელების იმედი მაინცდამაინც არ ექნება... კიდევ ერთი მიზეზი: უკრაინელ საზოგადოებრივ აქტივისტებს მის გუნდში მუშაობისათვის საჭირო გამოცდილება არ აქვთ და ამიტომაც მათ საპასუხისმგებლო თანამდებობებს არ ანდობენ და თუ ვინმე უკრაინელი მაინც იკავებს ასეთ თანამდებობას, ეს უბრალოდ, დეკორაციაა, მათ ზურგს უკან საქმეებს ისევ ქართველები აკვარახჭინებენ.

## ოკუპანტები ჯარიაშენის მცხოვრებთა ხილის ბაღებში ნარგავებს ჭრიან და გზა გაჰყავთ



სოფელ ჯარიაშენის განაპირას, საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლებმა დაწყებული სამუშაოები განაახლეს.

გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენთან ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულებს ადგილობრივების ბაღებში გზა გაჰყავთ. ჯარიაშენის განაპირას, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება, გუშინ შეიარაღებული პირები გამოჩნდნენ. ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული შეიარაღებული პირები სოფელ ჯარიაშენის მცხოვრებთა ხილის

ბაღებში ვაშლის მრავალწლიან ნარგავებს ჭრიან და გზის გაყვანის სამუშაოებს აწარმოებენ.

რამდენიმე ადგილობრივმა შეიარაღებულებთან გასაუბრებაც შეძლო.

– გზა გაჰყავთ პირდაპირ ჩვენს მიწის ნაკვეთებში. ასევე სოფლის სტადიონსა და საძოვრებზე. როგორც მათ ჩვენთან საუბრისას განაცხადეს, აღნიშნული ტერიტორია სასაზღვრო ზონას წარმოადგენს. აქ უნდა გავიდეს საოკუპაციო ხაზი და შესაბამისად, ყოველდღიურად პატრულირებისთვის სჭირდებათ გზის მოწესრიგება.

ჩვენი ნაკვეთები მთლიანად მოექცა მათ კონტროლირებად ტერიტორიაზე. დაახლოებით 30-40 ჰექტარ მიწის ფართობზე შეგვეზღუდა წვდომა, – განაცხადა სოფელ ჯარიაშენის მცხოვრებმა დავით გოგიაშვილმა.

კიდევ ერთმა ადგილობრივმა ელდარ გოგიაშვილმა შეიარაღებულ ფორმიანებს თხოვნით მიმართა, რომ მის ხეხილის ბაღში მოჭრილი ნარგავები შეშად გამოეტანა, რაზეც თანხმობა მიიღო.

– ვთხოვე, რომ შეშად მაინც წამოვიღებდი ჩემივე ვაშლის ნარგავებს. ამდენი წლის განმავლობაში ვუვლიდი, ამ ტერიტორიაზე ჩემი ორი ნაკვეთი მოექცა. ერთი 30 მეასედია, მეორე კი – 50 მეასედი. მთლიანობაში 80 მეასედი მიწის ნაკვეთი დავკარგეთ. აქ არიან რუსებიც და ოსებიც, – აცხადებს ელდარ გოგიაშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

## ლარი მცირედით გამყარდა

ერთი ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4175 ლარი გახდა. ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, 15 მარტიდან ერთი დოლარის ოფიციალური ფასი 2.4175 ლარი გახდება.



ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2.4258 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0083 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც მცირედით გამყარდა. კერძოდ, ერთი ევროს შეძენა 2.6851 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2.6943 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0092 ლარი შეადგინა.

**ინტერპრესნიუსი**

## აპრილში საქართველო, რუსეთი და ირანი თბილისში ენერგეტიკის საკითხებზე მოლაპარაკებებს გამართავენ




მიმდინარე წლის აპრილში თბილისში ირანი, რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთს შორის ენერგეტიკის პროექტის შესახებ იმსჯელებენ.

– აპრილში საქართველოს დედალაქში ირანი, რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ენერგეტიკის პროექტზე იმსჯელებენ, – განაცხადა წყარომ.

თავის მხრივ რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ნოვაკმა თეირანში კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ დღეს განაცხადა, რომ ირანი და რუსეთი აზერბაიჯანისა და სომხეთის გავლით ქვეყნებს შორის ელექტროქსელის გაყვანაზე მოლაპარაკებებს გამართავენ.

მედიანიუსმა ინფორმაციის გადაემოწმების მიზნით ენერგეტიკის სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც დაადასტურეს რომ მსგავსი შეხვედრა აპრილში ნამდვილად გაიმართება, თუმცა ის ოთხმხრივია და მასში აზერბაიჯანი არ მონაწილეობს.

– აზერბაიჯანი და სომხეთი ჩვენთან ერთიან ფორნმატში არ თანამშრომლობენ. ეს არის ოთხმხრივი მემორანდუმი, რაზეც ხელი ერევანში მოეწერა. ჩვენც ვიმყოფებოდით სომხეთში.

მემორანდუმი რომელსაც ხელი ირანმა, რუსეთმა, საქართველომ და სომხეთმა მოაწერეს ენერგეტიკის სფეროში თანამრომლობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და პერსპექტივებს შეეხება.

იგეგმებმა ოთხმხრივი შეხვედრა აპრილში თბილისში, თუმცა ზუსტი თარიღის თქმა ახლა არ შემიძლია. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ვერ გეტყვით, თუ ორი ქვეყანა ერთმანეთთან რაღაცას გეგმავს, მაგრამ ოთხმხრივში აზერბაიჯანი ნამდვილად არ მონაწილეობს, – განაცხადა ენერგეტიკის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა.

**მედიანიუსი**


# სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

## აცხადებს

## ღია კონკურსს

### შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

**1. რადიოფიზიკური და ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სისტემატექნიკის განყოფილება**

**უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი** – 2 (ორი) სრული საშტატო განაკვეთი;

**2. ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია**

**უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი** – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;

**მეცნიერ-თანამშრომელი** – 3 (სამი) სრული საშტატო განაკვეთი

**მეცნიერ-თანამშრომელი**– 1 (ერთი) არასრული საშტატო განაკვეთი,

(უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს);

**3. ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია**

**უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი** – 2 (ორი) სრული საშტატო განაკვეთი;

**მეცნიერ-თანამშრომელი** – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;

**მეცნიერ-თანამშრომელი** – 1 (ერთი) არასრული საშტატო განაკვეთი

(უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს);

**4. ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორია**

**მეცნიერ-თანამშრომელი** – 3 (სამი) სრული საშტატო განაკვეთი;

**5. კრიოგენული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ლაბორატორია**

**უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი** – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;

**მეცნიერ-თანამშრომელი** – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;

**მეცნიერ-თანამშრომელი** – 1 (ერთი) არასრული საშტატო განაკვეთი

(უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს);

**6. არატრადიციული ენერგეტიკის ლაბორატორია**

**მეცნიერ-თანამშრომელი** – 3 (სამი) სრული საშტატო განაკვეთი;

### უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის კონკურსის პირობები

**კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:**

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. განყოფილების მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

### მეცნიერ-თანამშრომლის კონკურსის პირობები

**კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:**

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. განყოფილების მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან** მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (იხ. განცხადების ფორმა);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს **სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში**, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ-ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2016 წლის 14 აპრილის 10 საათიდან 20 აპრილის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

– კონკურსი გაიმართება 21-22 აპრილს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი ხათუნა ლომიძე ტელეფონი: 599 95 99 13**

# ალეკო ელისაშვილი: „პროკურატურა კი არა, სამარცხვინო დუქანია, სადაც მოხარშული ხორცის სუნი დგას“

თბილისის საკრებულოს დეპუტატ ალეკო ელისაშვილის მტკიცებით, მას პროკურატურამ გადასცა შს სამინისტროსა და სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნები, რომლებიც აცხადებენ, რომ ელისაშვილის ტელეფონიდან ვერანაირი ინფორმაცია ვერ ამოიღეს, ვინაიდან მათ ამის ტექნიკური საშუალება არ აქვთ.

ამის შესახებ ალეკო ელისაშვილმა ჟურნალისტებს საქართველოს პროკურატურის დატოვების შემდეგ განუცხადა, სადაც ის რამდენიმე საათის განმავლობაში იკითხებოდა.

ელისაშვილის თქმით, მან პირადად ნახა შს სამინისტროს ექსპერტის, ასევე სამხარაულის სახელობის ექსპერტის ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც ისინი ამბობენ, რომ ტექნიკური საშუალება არ აქვთ ტელეფონში აღადგინონ მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ზარები, კონტაქტები და ა.შ. და ორივე დასკვნა დათარიღებულია იანვრით.

ელისაშვილის თქმით, შესაბამისად, პროკურატურა ექსპერტიზის დასკვნას რამდენიმე თვის განმავლობაში მალავდა და „ფხიკავდნენ და აბანავებდნენ მჟავაში. სამი თვე დასჭირდათ, რომ გადაეფხიკათ და ებანავებინათ ეს ჩემი ტელეფონი“.

**ალეკო ელისაშვილი:**

– საოცრებას ვკითხულობდით, არ გვეჯერა, ორი დასკვნა არის შს სამინისტროსი და სამხარაულის ბიუროსი, რომ ტელეფონში ვერაფერს აღვადგენთ იმ ტექნიკური საშუალებებით რაც ჩვენ გვაქვსო, ვერც მესიჯებს, ვერც კონტაქტებს და ვერც ზარებს და რა ვქნათო. სამ თვეს ელოდებოდნენ ამის სათქმელად? ეს დასკვნები დაწერილია იანვარში. ახლა ცდილობენ როგორმე გამოძვრნენ, უბრალოდ „მაგთის“ ამონაწერი ეჩხირებათ, რომელიც მე წარვადგინე და რომელიც ადასტურებს, რომ ეკა ბესელიასთან კომუნიკაცია ნამდვილად მქონდა.

საკრებულოს დეპუტატი გეგმავს, რომ საზღვარგარეთ გააგზავნოს ექსპერტიზაზე თავისი ტელეფონი, რომელიც პროკურატურამ უკვე დაუბრუნა.

– სამარცხვინოები არიან, ცდილობენ ეს საქმე ჩაფარცხონ და ხელი დააფარონ ბესელია-კობახიძეს. მე ვიხილე ის მიმოწერა, რომელიც მათ უცხოურ კომპანიასთან ჰქონდა. უნდა გენახათ როგორი სასაცილო იყო ეს მიმოწერა, რომ ისინი ვერ დაეხმარებოდნენ ტელეფონისთვის ექსპერტიზის ჩატარებაში. ]

სამარცხვინოები არიან. პროკურატურა კი არა, სამარცხვინო დუქანია, მოხარშული ხორცის სუნი დგას, რომ შეხვალ, რითიც არიან დაკავებული, სწორედ იმის სუნი დგას, – აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

* * *

შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი მთავარ პროკურატურაში კიდევ ერთხელ დაიკითხა. როგორც დაკითხვიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს ელისაშვილმა განუცხადა, შეკითხვები იმ პატიმრის წერილს შეეხებოდა, რომელიც პროკურატურას პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ წარუდგინა.

ელისაშვილის განმარტებით, აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით მას 2-3 კითხვა დაუსვეს.

**ალეკო ელისაშვილი:**

– პროკურატურისთვის უკვე ნათელია, რომ ეკა ბესელია ცრუობს და პატიმარი არ დამკავშირებია. იმდენად უხერხულ მდგომარეობაში არიან ამ პატიმრის წერილის გამო, რომ მხოლოდ ორი-სამი კითხვა დამისვეს. მკითხეს, იცნობო? – მე ვუთხარი, არამეთქი. კარგიო, ბოდიშიო და მეტი კითხვა აღარც დაუსვამთ.

მე „დავგუგლე“ ამ პატიმრის სახელი და გვარი და აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი არის ყაჩაღობისთვის ბრალდებული. მისი ადვოკატი ჩემთან არასოდეს მოსულა და არაფერი შემოუთავაზებია. თავად ადვოკატიც კი ადასტურებს ამას, რომ ჩემთვის არაფერი აქვს შემოთავაზებული. მე მასთან კომუნიკაცია არ მქონია. იმდენად უხერხულ დღეშია გამოძიება, რომ მხოლოდ ორი კითხვა დამისვეს და გამომიშვეს.



საქმე ეხება პატიმრის წერილს, რომელიც ეკა ბესელიამ პროკურატურას წარუდგინა და რომელშიც საუბარია, რომ ალეკო ელისაშვილი შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობის დროს, შეწყალების სანაცვლოდ მის ადვოკატს 50 ათას ლარს სთხოვდა.

# ამირან გიგუაშვილი: „ეს არის ტერორიზმის ახალი სახე“



პოლიტიკისა და სამართლის ცენტრის თავმჯდომარის, ადვოკატ ამირან გიგუაშვილის განცხადებით, პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელება ტერორიზმის ახალი სახეა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პოლიტიკისა და სამართლის ცენტრიდან აცნობეს, ამირან გიგუაშვილი პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელების ფაქტს ეხმიანება და აცხადებს, რომ ასეთი ჩანაწერების გავრცელება ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, როგორც ტერორიზმის სრულიად ახალი სახე, რომელიც მიმართულია მთლიანად ქართული საზოგადოების და სახელმწიფოს წინააღმდეგ.

აღნიშნულის გამო ადვოკატი დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებითი სახის ცვლილებების განხორციელებას ითხოვს.

– ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს არსებული ნორმები სისხლის სამართალის კოდექსში სრულად და ადეკვატურად ვერ ასახავს იმ მოვლენებს, რომლებიც ჩვენს ირგვლივ ვითარდება.

აშკარაა, რომ მიზანი, რომელიც ამ კადრების გამავრცელებლებს აქვთ, ცდება ერთი კონკრეტული პიროვნების ან თუნდაც ერთი კონკრეტული პოლიტიკური პარტიის დისკრედიტაციის მცდელობას.

ეს არის მცდელობა, რომ ფსიქოლგიური ტერორის გამოყენებით შეიცვალოს არსებული პოლიტიკური წესრიგი. დამნაშავეთა ძირითადი მიზანი სწორედ საზოგადოების დაშინება და სახლმწიფოს დასუსტებაა. შესაბამისად ეს განზრახვა, ცდება სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციას, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებას გულისხმობს და მიეკუთვნება სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების, უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიას, – აცხადებს გიგუაშვილი

მისივე თქმით, საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა, რომლითაც არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის გამო დადგენილი სანქციები გამკაცრდება, არამედ მოხდება სპეციალური ნორმის შემოღება და არსებული მუხლების დაზუსტება დამნაშავეთა სუბიექტური განზრახვიდან გამომდინარე.

– სამართალი არის ცოცხალი ორგანიზმი. ტექნოლოგიური პროცესების განვითარების პარალელურად, იზრდება საფრთხეები, იარაღი და საშუალებები დამნაშავეების მიერ დასახული მიზნების მისაღწევად. სახელმწიფო ვალდებულია დროული და ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმები დაადგინოს არსებული საფრთხეების პრევენციის და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის მიზნით, – აღნიშნა გიგუაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# სოკოვანმა დაავადებამ დასავლეთ საქართველოში ბზის ბუნებრივი კორომების 90%-ზე მეტი გაანადგურა



სოკოვანმა დაავადებამ ბზის ბუნებრივი კორომების დიდი ნაწილი გაანადგურა. ასევე გაძნელდა იმ სადედე მასალის მოპოვებაც, რისგანაც ჯანსაღი კალამი შეგვიძლია მივიღოთ ნერგების დასამზადებლად.

ექსპერტების ცნობით, საქართველოში, ბუნებრივი გავრცელების არეალში, ბზა 95%-ით განადგურდა – აჭარაში, ზემო სვანეთში, გურიაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში ბზის უნიკალური, 100-200-წლიანი კორომები გახმა. მხოლოდ შარშან გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში მავნებელმა პეპელამ – ალურამ, 3 დღეში ასწლოვანი ხეები გაანადგურა, მათ შორის – დადიანების სასახლის ხეივანი. ბზის გადასარჩენად სახელმწიფო ორგანოებმა და პარტნიორმა ორგანიზაციებმა ერთად დაიწყეს ზრუნვა.

კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის, CENN-ის წარმომადგენლის რეზო გეთიაშვილის განცხადებით, შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომლის ნაწილი იყო ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის კვლევაც.

პრობლემის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი სოკოვანი დაავადება ე.წ. ბზის სიდამწვრეა. თელავსა და სიღნაღში პირველად აღირიცხა „ბზის სიდამწვრის“ ნიშნები.

ქობულეთის ფიტოპათოლოგიის ცენტრმა ეს დაავადება შეისწავლა და მისი გადაჭრის გზებიც დასახა, ქიმიური პრეპარატებით შეწამვლის გზით, თუმცა, გაირკვა, რომ დაცულ ტერიტორიებზე და ტყეებში ამგვარი მეთოდი არასასურველია.

**ნიუსპრესი**

# თამარ ქალდანი: „პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელების აღსაკვეთად, სწრაფი გამოძიება უნდა იყოს“

თამარ ქალდანმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა ბოლო დღეებში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელების გამო. თამარ ქალდანის თქმით, ყველა ტიპის დანაშაულის 100%-იანი წინასწარი პრევენცია შეუძლებელია. პრევენციისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადაიდგას, მაგრამ მეორე მხრივ, ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება უნდა იყოს მყისიერი და ეფექტური.

**თამარ ქალდანი:**

– მთავარი მექანიზმი უნდა იყოს ძალიან ეფექტური და სწრაფი გამოძიება, რათა პასუხი გაეცეს კითხვებს და მეორე მხრივ, კომპლექსური მიდგომა, რომელიც მხოლოდ კანონმდებლობის ან სასჯელის გამკაცრებაზე საუბრით არ უნდა შემოიფარგლოს.

კომპლექსური მიდგომაა საჭირო, რათა ასეთი ტიპის ინფორმაციის მოპოვება და გავრცელების პრევენცია განხორციელდეს.

მიუხედავად იმისა როგორი იქნება პრევენცია, ასეთი ტიპის დანაშაულზე რეაგირება ძალიან მკაცრი უნდა იყოს და ყველა პირი, რომელსაც ეს მასალა უკანონოდ მოპოვებული თუ გავრცელებული აქვს, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა მიეცეს შესაბამის პასუხისგებაში. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, ისევე როგორც საზოგადოების კონსოლიდაცია, რომ პირად ცხოვრებაში ასეთი უხეში ჩარევა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის არის მიუღებელი. ჩვენ სახელმწიფოსთან ერთად კონსოლიდირებულად წინ უნდა აღვუდგეთ ამ მძიმე დანაშაულს.

თამარ ქალდანმა საუბრისას აღნიშნა, რომ პირად ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრები რომ მომავალშიც გავრცელდება ეს ინფორმაცია მათთვის ცნობილია. ასეთ შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი შეეცდება გამოძიების პროცესებს გარკვეულად ხელი შეუწყოს, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია გამოძიების ეფექტურად ჩატარებაზე, რასაც საზოგადოებამაც უნდა შეუწყოს ხელი.

თამარ ქალდანი აცხადებს, რომ ბოლო დღეებში გავრცელებულ ვიდეოკადრებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პირველ რიგში იმ პირს, ვინც მოიპოვა და გაავრცელა აღნიშნული კადრები.



**ინტერპრესნიუსი**

# შსს-მ ნარკოდანაშაულის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-მ ნარკოდანაშაულის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე ერთი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1988 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი დ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.



– სამართალდამცველებმა სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში გიორგი დ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას გადაჭრილი უნომრო თოფი, ხოლო მისი პირადი ჩხრეკისას 8,63 გრ ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი სროლისთვის ვარგისია. ნარკოლოგიური შემოწმებისას გიორგი დ-ს ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მოხმარების ფაქტი დაუდგინდა, – ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს ცნობით, გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# განცხადებები

მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ჩიკაგო: ტრამპის შეხვედრა ამომრჩევლებთან ჩაიშალა






ილიონისის შტატში მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ ტრამპი ახალ სკანდალში გაეხვია. ამჯერად დაპირისპირების ეპიცენტრი ჩიკაგოა. აქ დონალდ ტრამპი ამომრჩევლებს უნდა შეხვედროდა.

შეხვედრაზე ტრამპი დაცვის თანხლებით გამოცხადდა. მათ მისი მომხრე კუნთმაგარი ბიჭებიც მოყვებოდნენ.

თუმცა ტრამპის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა გაცილებით მეტი გახლდათ. კუნთმაგარი ბიჭებიც იქ ბევრად სჭარბობდნენ. ისინი ჩიკაგოში ტრამპის ჩასვლას აპროტესტებდნენ, თვლიდნენ, რომ ასეთი კაცი შეუძლებელია ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი იყოს.

შენობაში, სადაც ტრამპი თავის ამომრჩევლებს ხვდებოდა, ვითარება დაიძაბა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც იქ ტრამპის მოწინააღმდეგეთა მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია მივიდა.

მანიფესტანტებმა შენობაში შეღწევა სცადეს, თუმცა პოლიციამ ამისი საშუალება არ მისცა. ტრამპის მომხრეები შენობიდან გამოცვივდნენ. მათსა და ტრამპის მოწინააღმდეგეებს შორის ხელჩართული ჩხუბი დაიწყო. პოლიციის მაღალპროფესიული მოქმედების შედეგად ჩხუბის შეჩერება ძალზე სწრაფად მოხერხდა. დაზარალებულებიც ცოტანი არიან. დაშავდა ექვსი ადამიანი. პოლიციამ რამდენიმე ჩხუბისთავი დააკავა.

მილიარდერი იძულებული გახდა, ჩიკაგო დაეტოვებინა. ის ოჰაიოში გაემგზავრა, სადაც თავისი საარჩევნო კამპანია განაგრძო.

* * *

ჩიკაგოს ინცინდენტი ამერიკული პოლიტიკური ელიტის გაცხოველებული მსჯელობის საგანი გახდა. პრეზიდენტმა ობამამ აღნიშნა, რომ კანდიდატები ქვეყნის პრობლემებზე უნდა მსჯელობდნენ, ტრამპი კი პოლიტიკურ რიტორიკასა და ძალადობისკენ მოწოდებებზე აკეთებდა აქცენტს.

– რა თქმა უნდა, ის, რაც ჩიკაგოში მოხდა, ამაზრზენია, თუმცა ფაქტია, რომ თავად ტრამპმა შექმნა ატმოსფერო, რომელიც ძალადობას ხელს უწყობს, – თქვა ობამამ.

ამას როგორც დემოკრატების, ისე რესპუბლიკელების წარმომადგენლებიც ეთანხმებიან. ჰილარი კლინტონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტრამპის საარჩევნო კამპანია უხეში და ტლანქია და პოპულიზმის სახეს ატარებს.

– როცა ასანთის ღერით თამაშობ, ხანძრის გაჩენის საფრთხე რეალურია, – თქვა ჰილარიმ.

მსგავს პოზიციაზე დგანან რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები ტედ კრუზი, მარკო რუბიო და ა.შ.

– ტრამპის ძალადობისკენ მოწოდებებმა შექმნა დაძაბული ატმოსფერო! ჩიკაგოს ინციდენტიც ამიტომ მოხდა, – თვლის კრუზი.

სენატორმა მარკო რუბიომ მომხდარზე პასუხისმგებლობა ტრამპს დააკისრა.

– აშშ მესამე სამყაროს ქვეყნებს ჰგავდა, – განაცხადა რუბიომ.

თავად ტრამპმა ჩიკაგოს შეხვედრის ჩაშლაში ბრალი დემოკრატების კანდიდატს ბარნი სანდერსს დასდო.

ტრამპმა თქვა, რომ ახალგაზრდების ჯგუფი, რომელმაც შეხვედრა ჩაშალა, სკანდირებდა:

– ბარნი! ბარნი!

ტრამპმა აღნიშნა, რომ სანდერსი მასზე გაბრაზებულია. მიზეზი ტრამპის უკანასკნელი გამონათქვამია, როცა მან სანდერსს „ჩვენი კომუნისტი მეგობარი“ უწოდა. თავად სანდერსმა კი მომხდარში ტრამპი დაადანაშაულა.

– ერთ-ერთი რესპუბლიკელი კანდიდატი ღიად ქადაგებს ძალადობას, რასიზმს და ა.შ. შედეგად შეიქმნა ატმოსფერო, რომელიც ძალადობას ამართლებს, – თქვა სანდერსმა.

# ტერაქტი ანკარაში



თურქეთის დედაქალაქში ქემალ ათა-თურქის მოედანზე აფეთქება მოხდა. არიან დაღუპულნი და დაშავებულნი.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ალამ განაცხადა, რომ აქცია საგანგებოდ იყო დაგეგმილი. ასაფეთქებელი მოწყობილობა ორ ავტობუსს შორის იყო ჩამონტაჟებული. ალამ ხაზი გაუსვა იმას, რომ აფეთქება ხალხმრავალ ადგილას მოხდა. ათა-თურქის მოედანზე მუდამ ბევრი ხალხია. იქვეა პოპულარული პარკიც, ანკარელთა დასვენების საყვარელი ადგილი.

– აფეთქების ორგანიზატორთა მიზანი იყო, რაც შეიძლება დიდი მსხვერპლი ყოფილიყო, – თქვა ალამ.

პრეზიდენტმა ერდოღანმა ანკარის ტერაქტი დაგმო. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ უკანასკნელ პერიოდში თურქეთი ტერორისტების შეტევის ობიექტი გახდა.

– ამ ტერორისტებს აუცილებლად გავანადგურებთ, – თქვა ერდოღანმა.

ანკარის ტერაქტი დაგმეს ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუნსენმა, აგრეთვე ევროკავშირის ხელმძღვანელმა პირებმა.

# სერგეი ლავროვი: სირიაში თურქეთის არმია იმყოფება!




რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ თურქული ქვედანაყოფები სირიის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

ლავროვმა თურქეთს სირიის წინააღმდეგ აგრესიასა და ტერორისტების მფარველობაშო დასდო ბრალი.

– უკვე არსებობს საკმაოზე მეტი საფუძველი საიმისოდ, რათა თურქეთის წინააღმდეგ სანქციები იქნას შემოღებული! – თქვა ლავროვმა.

მინისტრმა მოითხოვა, რომ სირიის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებში ქურთებიც იქნან ჩართული.

– ქურთების გარეშე არაფერი გამოვა, – თქვა ლავროვმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# იკეას დამფუძნებელი ტანსაცმელს ბაზრობაზე ყიდულობს




კომპანია იკეას დამფუძნებელმა ინგვარ კამპარდმა აღიარა, რომ ჩასაცმელებს ბაზრობაზე ყიდულობს. ასეთი განცხადება მილიარდერმა შვედეთის ტელეარხის ტვ4-ის მიერ დოკუმენტური ფილმის გადაღების დროს გააკეთა.

კამპარდმა, რომელიც ათი წლის წინ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების პირველ ხუთეულში შედიოდა, განაცხადა, რომ ბუტიკებში სიარულს ბაზრობებზე სიარულს ამჯობინებს.

– არ ვფიქრობ, რომ ვიცვამ რაიმე ისეთს, რაც დიდ ბაზრობაზე არ შემიძენია, – განაცხადა მილიარდერმა. ის ფიქრობს, რომ ამით სხვებს კარგ მაგალითს აძლევს.

გარდა ამისა, კამპარდმა აღნიშნა, რომ ასეთი პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული მის მშობლიურ სმოლანდის პროვინციაში.

# სოციალურ ქსელებში ობამას ქალიშვილის ფოტოზე მსჯელობენ



სოციალურ ქსელებში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას ქალიშვილის ფოტოსურათი, რომელიც თეთრ სახლში გამართული საზეიმო სადილის დროსაა გადაღებული.

ფოტოზე მალია ობამა თავის დას საშას ზევით აღმართულ ცერა თითებს აჩვენებს და უღიმის, სანამ ის მსახიობ რაიან რეინოლდს ესაუბრება. აღსანიშნავია, რომ საშა ობამა მსახიობის დიდი ხნის თაყვანისმცემელია და ძალიან უნდოდა მისი გაცნობა.

სოციალური ქსელების მომხმარებლებმა ფოტოს „წარმოუდგენლად საყვარელი“ უწოდეს და აღნიშნეს დების ერთმანეთის სიყვარული და მხარდაჭერა.

# ემა უოტსონი მეტსახელ „ფემინაციაზე“

მსახიობმა ემა უოტსონმა ისაუბრა საკუთარ დამოკიდებულებაზე მეტსახელ „ფემინაციის“ მიმართ, რომელიც მას იმ ინტერნეტ-მომხმარებლებმა შეარქვეს, რომლებიც კინოვარსკვლავს ქალთა უფლებების თავდაუზოგავი დაცვისა და ბრძოლისთვის აკრიტიკებენ.



25 წლის უოტსონმა განაცხადა, რომ ვინმეს მხრიდან მისი გაკიცხვა, მას ვერ აიძულებს, ისეთ საგნებზე საუბრებზე თქვას უარი, რომლებიც მნიშვნელოვანია მისთვის და სხვა ქალებისთვის.

– ეს მხოლოდ მე არ მეხება. სულ ერთია, ვინ იქნება კენიაში ჩაის პლანტაციაში მომუშავე, უოლ-სტრიტზე ბროკერად თუ ჰოლივუდის მსახიობი ქალი, – განმარტა უოტსონმა.

მსახიობმა ასევე აღნიშნა, რომ მისი პრივილეგირებული მდგომარეობა მას ხელს არ უშლის გენდერული დისკრიმინაციის შემჩნევაში. ამით მან უპასუხა იმ კრიტიკოსებს, რომლებმაც მას უწოდეს ფემინისტი უზრუნველყოფილი ქვეყნიდან.

აღსანიშნავია, რომ უოტსონმა მიმდინარე წლის თებერვალში განაცხადა, რომ ერთი წლით წყვეტს თავის პროფესიულ საქმიანობას და ამ დროს ის პირადულ განვითარებასა და ფემინიზმის მხარდამჭერ საქმიანობას მოახმარს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამტრედიამ მეორეზე აინაცვლა, საპოვნელამ ბოლო ადგილს თავი დააღწია

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მატჩები.

**საბურთალო – გურია 4:2**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

1:0, 2:0 ხარაიშვილი (44, 47პ), 2:1 ზოზულია (63), 3:1 ხარაიშვილი (66), 4:1 ხორხელი (81), 4:2 მოროზენკო (90)

**საბურთალო:** გოშაძე, იაშვილი, თოთაძე, მამუჩაშვილი, გოშთელიანი (კოხრეიძე 77), ხარაიშვილი, ფანცულაია (გვარაძე 83), ნადარაია (ხორხელი 69), ცაცკრიალაშვილი, ელვინ ტერა, სოფრომაძე

**გურია:** იმერლიშვილი, გელაშვილი, ბენეტი, ჩადუნელი, ნოზაძე, კვეკვესკირი, ალავერდაშვილი (როდრიგესი 86), გამყრელიძე (კახელიშვილი 81), ზოზულია, მოროზენკო, პოდუპ ჟუნიორი (შტანდერი 72)

სადებიუტო მატჩი წარმატებული და იღბლიანი გამოდგა ესპანელი სპეციალისტისთვის, პაბლო ფრანკო მარტინისთვის, რომელმაც გიორგი ჭიაბრიშვილი შეცვალა.

მატჩმა მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა და საბოლოოდ მათივე გამარჯვებით დასრულდა, ხოლო გურიას 5 მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყდა.

ჰეთ-თრიქი გაიფორმა გიორგი ხარაიშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელები ტაიმის მიწურულს სწორედ ხარაიშვილის გოლით დაწინაურდნენ, მანამდე ანგარიშის გახსნა ჯერ ცოტნე ნადარაიას, შემდეგ კი გურამ გოშთელიანს შეეძლო. ტაიმის შუაში კი რატი ცაცკრიალაშვილმა გაისროლა შორი მანძილიდან, მაგრამ მეკარემ ბურთი აკრობატულ ნახტომში მოიგერია. დედაქალაქელები 44-ე წუთზე დაწინაურდნენ, როდესაც ხარაიშვილმა საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმი ორი წუთის განახლებული იყო, როდესაც თბილისელებმა თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს. ხარაიშვილმა 11 მეტრიდან ზუსტად დაარტყა და სხვაობა ორამდე გაზარდა.

63-ე წუთზე ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა – გურიას ლეგიონერმა დიმიტრი ზოზულიამ მოხდენილი დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა. თუმცა, ორ ბურთიანი სტატუსკვო ხარაიშვილმა მალევე აღადგინა. მართალია, მცირე რიკოშეტი დაეხმარა, მაგრამ ბურთი მეტოქის კარის ბადეში მესამედ გაახვია, 3:1.

მეოთხე გოლი კი მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა, რომელიც ელვინ ტერამ დაიწყო, გიორგი კოხრეიძემ და რატი ცაცკრიალაშვილმა იერიში გააგრძელეს, ნოდარ იაშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა, გიორგი ხორხელმა კი შედეგიანი თავური დარტყმა განახორციელა. ცვლილებაზე შემოსულ ხორხელს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში მისი დარტყმული ძელს მოხვდა.

სტუმრებმა ბოლოს ერთი გოლის გატანა კიდევ მოახერხეს – თავი კიდევ ერთმა ლეგიონერმა, ევგენი მოროზენკომ გამოიჩინა და საბოლოო შედეგი 4:2 დააფიქსირა.

**მერანი – სამტრედია 2:3**

**მარტვილი.** მურთაზ ხურცილავა

1:0 ჯიქია (74), 1:1 რაჟამაშვილი (77), 1:2 სიხარულიძე (84), 2:2 ტეიდი (86), 2:3 სიხარულიძე (90)

**მერანი:** მამალაძე, ციმაკურიძე, მელიავა, გეგია, გიორგაძე, ტეიდი, ხაბელაშვილი (გოგუაძე 85), ჩიმაკაძე, ჯიქია (კიკნაველიძე 80), უგულავა (ჯღამაია 37), საბანაძე

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, ცნობილაძე, ენდელაძე (სანდოხაძე 90), მარკოზაშვილი, იოსელიანი (რაჟამაშვილი 55), ზივზივაძე, ჯიქია (სიხარულიძე 62)

სამტრედიელებმა დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს და მეორე ადგილზე აინაცვლეს, რაც ახალგაზრდული გუნდისთვის მშვენიერი შედეგია.

მთავარი მოვლენები ბოლო 15 წუთში განვითარდა: მართალია, თავიდან მასპინძლები ჯიქიას გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ რაჟამაშვილმა ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი სიხარულიძემ სულაც წინ გაიყვანა სტუმრები.

86-ე წუთზე მარტვილელთა ლეგიონერმა ტეიდმა ისევ თანაფარდობა აღადგინა და მატჩის თითქოს ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სიხარულიძემ მოახერხა ბოლო წუთზე გამარჯვების მომტანი გოლის გატანა.

**დინამო (ბთ) – ცხინვალი 2:0**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 კომაზეცი (31), 2:0 გაბედავა (83)

**დინამო:** ალავიძე, სუხიაშვილი, მიჰაილოვიჩი, ტვილდიანი, შონია, გოგიტიძე, დიასამიძე (კაშია 80), ფონიავა, ვარშანიძე, კომაზეცი (თევდორაძე 68), გაბედავა (ტეტუნაშვილი 90)

**ცხინვალი:** ნადირაძე, ჯაფარიძე, მაისაშვილი, კაკუბავა, ნოზაძე (ლობჯანიძე 53), გორგიაშვილი, ბეჭვაია, ლექვთაძე, ქოჩლაძე (ბურძენაძე 74), მახარობლიძე (ისიანი 6), ივანიშვილი

**გაძევება:** ბეჭვაია (64)

ტურის ცენტრალურ მატჩში ბათუმელებმა მოიგეს და კიდევ უფრო მიუახლოვდნენ ევროთასების ზონას.



გოლები კომაზეცმა და გაბედავამ გაიტანეს და სატურნირო ცხრილში ცხინვალი უკან მოიტოვეს.

**კოლხეთი – ტორპედო 2:0**

**ფოთი.** პარკი არენა

1:0 ნიქაბაძე (48), 2:0 სიჭინავა (74)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, ლ.კაკულია (თ.კაკულია 75), ჩაკვეტაძე, თუხარელი, გოგონაია, ლემონჯავა, გურეშიძე, გიგაური (პოლულიახი 81), ჟიშკარიანი, ნიქაბაძე, ნ.ტუღუში (სიჭინავა 11)

**ტორპედო:** კვასხაძე, მირცხულავა (ფურცხვანიძე 51), ქიმაძე, ჭიჭინაძე, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, ბრეგვაძე (კვარაცხელია 79), ბ.ტუღუში, კაპანაძე, კვერნაძე (შინდაგორიძე 26)

ფოთში ფეხბურთი დაბრუნდა და ფეხბედნიერადაც – მასპინძლებმა 2:0 მოიგეს. ნიქაბაძისა და სიჭინავას გოლებს ქუთათურებმა ვერაფერი უპასუხეს.

**საპოვნელა – შუქურა 2:0**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

1:0 ნარიმანიძე (4), 2:0 ბუხაიძე (84)

**საპოვნელა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, ბერუაშვილი, ენდელაძე, ვაჭარაძე (ბანძელაძე 46), ბოლქვაძე, ქათამაძე, მაკარიძე (ჩიკვილაძე 59), დვალი (ბუხაიძე 67), ტყეშელაშვილი

**შუქურა:** ჯიოევი, აფაქიძე, ზ.მალანია, გეგეჭკორი, დოლიძე, პუკანიჩი, გეწაძე, თარხნიშვილი, მოსიაშვილი, კომახიძე (ჩალაძე 64), ე.ლობჟანიძე

როგორც იქნა გამარჯვება მოიპოვა საპოვნელამ და ბოლო ადგილს თავი დააღწია. იმერლებს 3 ქულა ნარიმანიძისა და ბუხაიძის გოლებმა მოუტანეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 20 | 18 | 1 | 1 | 56-17 | 55 |
| 2.სამტრედია | 20 | 13 | 2 | 5 | 48-24 | 41 |
| 3.დილა | 20 | 12 | 5 | 3 | 34-16 | 41 |
| 4.სიონი | 20 | 11 | 5 | 4 | 39-22 | 38 |
| 5.დინამო (ბთ) | 20 | 10 | 6 | 4 | 33-18 | 36 |
| 6.ცხინვალი | 20 | 10 | 6 | 4 | 37-24 | 36 |
| 7.ჩიხურა | 20 | 10 | 4 | 6 | 36-18 | 34 |
| 8.ტორპედო | 20 | 8 | 5 | 7 | 30-30 | 29 |
| 9.შუქურა | 20 | 7 | 6 | 7 | 19-19 | 27 |
| 10.საბურთალო | 20 | 7 | 3 | 10 | 31-48 | 24 |
| 11.კოლხეთი | 20 | 6 | 3 | 11 | 16-25 | 21 |
| 12.ლოკომოტივი | 20 | 4 | 5 | 11 | 20-27 | 17 |
| 13.გურია | 20 | 3 | 7 | 10 | 17-34 | 16 |
| 14.საპოვნელა | 20 | 3 | 2 | 15 | 14-47 | 11 |
| 15.მერანი | 20 | 3 | 2 | 15 | 18-49 | 11 |
| 16.ზუგდიდი | 20 | 1 | 6 | 13 | 15-45 | 9 |

# ბექა ღვინიაშვილი ლიცენზიას უახლოვდება



საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ძიუდოში ბექა ღვინიაშვილმა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო.

100 კგ-ში მოასპარეზე ღვინიაშვილმა ამჯერად, არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში პან ამერიკის ღია პირველობაზე გაიმარჯვა. ღვინიაშვილმა ფინალში ესტონელი გრიგორი მინასკინი დაამარცხა, ისევე, როგორც ერთი კვირის წინ პერუში გამართულ ანალოგიურ ტურნირში.

ბუენოს-აირესის ღია პირველობაზე სულ 45 ქვეყნის 239 სპორტსმენი მონაწილეობდა.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ოფიციალური ვებ-საიტის ინფორმაციით, არგენტინაში გამარჯვებით ბექა ღვინიაშვილს ოლიმპიადის სალიცენზიო რეიტინგში კიდევ 100 ქულა შეემატა და იგი თანდათან უახლოვდება სალიცენზიო ზონას.

მომდევნო შეჯიბრი, სადაც ბექა ღვინიაშვილმა უნდა იასპარეზოს, თბილისში 25-27 მარტს გასამართი გრან-პრი იქნება.

# შედეგები

13 მარტი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

არსენალი-უოტფორდი .................. 1:2
მანჩესტერი-ვესტ ჰემი .................. 1:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ტოტენჰემი .............. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 52-31 | 60 |
| 2.ტოტენჰემი | 30 | 16 | 10 | 4 | 53-24 | 58 |
| 3.არსენალი | 29 | 15 | 7 | 7 | 46-30 | 52 |
| 4.სიტი | 29 | 15 | 6 | 8 | 52-31 | 51 |
| 5.ვესტ ჰემი | 29 | 13 | 10 | 6 | 45-33 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 29 | 13 | 8 | 8 | 37-27 | 47 |
| 7.საუთჰემპტონი | 30 | 12 | 8 | 10 | 38-30 | 44 |
| 8.ლივერპული | 28 | 12 | 8 | 8 | 43-37 | 44 |
| 9.სტოკი | 30 | 12 | 7 | 11 | 32-36 | 43 |
| 10.ჩელსი | 29 | 10 | 10 | 9 | 43-39 | 40 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 10 | 9 | 10 | 30-36 | 39 |
| 12.ევერტონი | 28 | 9 | 11 | 8 | 51-39 | 38 |
| 13.ბორნმუთი | 30 | 10 | 8 | 12 | 38-47 | 38 |
| 14.უოტფორდი | 29 | 10 | 7 | 12 | 29-30 | 37 |
| 15.კრ.პალასი | 29 | 9 | 6 | 14 | 32-39 | 33 |
| 16.სუონსი | 30 | 8 | 9 | 13 | 30-40 | 33 |
| 17.სანდერლენდი | 29 | 6 | 7 | 16 | 35-54 | 25 |
| 18.ნორვიჩი | 30 | 6 | 7 | 17 | 31-54 | 25 |
| 19.ნიუკასლი | 28 | 6 | 6 | 16 | 28-53 | 24 |
| 20.ასტონ ვილა | 30 | 3 | 7 | 20 | 22-57 | 16 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ვულვზი-ბირმინგემი ...................... 0:0
ჩარლტონი-მიდლსბრო .................. 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-ვალენსია ...................... 1:0
სევილია-ვილიარეალი .................. 4:2
ბილბაო-ბეტისი ........................... 3:1
ლას პალმასი-რეალი .................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 24 | 3 | 2 | 84-22 | 75 |
| 2.ატლეტიკო | 29 | 21 | 4 | 4 | 45-12 | 67 |
| 3.რეალი | 29 | 19 | 6 | 4 | 83-28 | 63 |
| 4.ვილიარეალი | 29 | 15 | 8 | 6 | 35-23 | 53 |
| 5.სევილია | 29 | 13 | 9 | 7 | 43-31 | 48 |
| 6.ბილბაო | 29 | 14 | 5 | 10 | 47-37 | 47 |
| 7.სელტა | 29 | 13 | 6 | 10 | 41-51 | 45 |
| 8.ეიბარი | 29 | 10 | 7 | 12 | 41-41 | 37 |
| 9.მალაგა | 29 | 9 | 9 | 11 | 28-28 | 36 |
| 10.სოსიედადი | 29 | 9 | 8 | 12 | 37-40 | 35 |
| 11.ბეტისი | 29 | 8 | 10 | 11 | 27-39 | 34 |
| 12.ვალენსია | 29 | 8 | 10 | 11 | 33-34 | 34 |
| 13.დეპორტივო | 29 | 6 | 15 | 8 | 37-42 | 33 |
| 14.ესპანიოლი | 28 | 9 | 4 | 15 | 28-54 | 31 |
| 15.ლას პალმასი | 29 | 8 | 6 | 15 | 31-42 | 30 |
| 16.რაიო | 29 | 6 | 9 | 14 | 39-61 | 27 |
| 17.ხეტაფე | 29 | 7 | 6 | 16 | 27-51 | 27 |
| 18.გრანადა | 28 | 7 | 5 | 16 | 29-53 | 26 |
| 19.ხიხონი | 29 | 6 | 6 | 17 | 30-51 | 24 |
| 20.ლევანტე | 29 | 6 | 6 | 17 | 27-52 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ოსასუნა-ალავესი ........................ 3:1
კორდობა-ლუგო .......................... 1:2
ხიმნასტიკი-პონფერადინა ............ 1:1
უესკა-ალკორკონი ....................... 1:0
ლიაგოსტერა-მალიორკა .............. 3:0
ლეგანესი-ტენერიფე .................... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-ჰამბურგი .............. 1:0
დორტმუნდი-მაინცი ..................... 2:0
ფრანკფურტი-ფრაიბურგი ............ 1:3
კარლსრუე-ჰაიდენჰაიმი ............... 0:0
ლაიპციგი-მიუნხენ 1860 ............... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 21 | 3 | 2 | 64-13 | 66 |
| 2.დორტმუნდი | 26 | 19 | 4 | 3 | 61-25 | 61 |
| 3.ჰერტა | 26 | 13 | 6 | 7 | 35-26 | 45 |
| 4.გლადბახი | 26 | 13 | 3 | 10 | 53-42 | 42 |
| 5.შალკე | 26 | 12 | 5 | 9 | 37-34 | 41 |
| 6.მაინცი | 26 | 12 | 4 | 10 | 34-32 | 40 |
| 7.ლევერკუზენი | 26 | 11 | 6 | 9 | 37-33 | 39 |
| 8.ვოლფსბურგი | 26 | 10 | 7 | 9 | 38-33 | 37 |
| 9.კიოლნი | 26 | 8 | 9 | 9 | 28-33 | 33 |
| 10.ინგოლშტადტი | 26 | 8 | 9 | 9 | 22-29 | 33 |
| 11.შტუტგარტი | 26 | 9 | 5 | 12 | 43-52 | 32 |
| 12.ჰამბურგი | 26 | 8 | 7 | 11 | 30-35 | 31 |
| 13.აუგსბურგი | 26 | 6 | 9 | 11 | 32-40 | 27 |
| 14.დარმშტადტი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-40 | 27 |
| 15.ვერდერი | 26 | 7 | 6 | 13 | 35-53 | 27 |
| 16.აინტრახტი | 26 | 5 | 9 | 12 | 28-43 | 24 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 26 | 5 | 9 | 12 | 27-42 | 24 |
| 18.ჰანოვერი | 26 | 5 | 2 | 19 | 22-48 | 17 |

**იტალია. სერია ა**

კიევო-მილანი ............................. 0:0
კარპი-ფროზინონე ....................... 2:1
ფიორენტინა-ვერონა .................... 1:1
უდინეზე-რომა ............................. 1:2
ჯენოა-ტორინო ............................ 3:2
ლაციო-ატალანტა ........................ 2:0
პალერმო-ნაპოლი ........................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 29 | 21 | 4 | 4 | 51-15 | 67 |
| 2.ნაპოლი | 29 | 19 | 7 | 3 | 59-23 | 64 |
| 3.რომა | 29 | 17 | 8 | 4 | 61-30 | 59 |
| 4.ფიორენტინა | 29 | 16 | 6 | 7 | 50-32 | 54 |
| 5.ინტერი | 29 | 16 | 6 | 7 | 39-27 | 54 |
| 6.მილანი | 29 | 13 | 9 | 7 | 39-30 | 48 |
| 7.სასუოლო | 29 | 11 | 11 | 7 | 36-32 | 44 |
| 8.ლაციო | 29 | 11 | 8 | 10 | 37-37 | 41 |
| 9.ბოლონია | 29 | 10 | 6 | 13 | 30-33 | 36 |
| 10.კიევო | 29 | 9 | 8 | 12 | 33-39 | 35 |
| 11.ემპოლი | 29 | 9 | 8 | 12 | 34-42 | 35 |
| 12.ჯენოა | 29 | 9 | 7 | 13 | 31-34 | 34 |
| 13.ტორინო | 29 | 8 | 9 | 12 | 36-38 | 33 |
| 14.სამპდორია | 29 | 8 | 8 | 13 | 43-47 | 32 |
| 15.ატალანტა | 29 | 7 | 9 | 13 | 26-35 | 30 |
| 16.უდინეზე | 29 | 8 | 6 | 15 | 25-44 | 30 |
| 17.პალერმო | 29 | 7 | 6 | 16 | 28-51 | 27 |
| 18.ფროზინონე | 29 | 7 | 5 | 17 | 29-55 | 26 |
| 19.კარპი | 29 | 5 | 10 | 14 | 26-45 | 25 |
| 20.ვერონა | 29 | 2 | 13 | 14 | 25-49 | 19 |

**იტალია. სერია ბ**

ვიჩენცა-ტრაპანი .......................... 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტრუა-პსჟ ..................................... 0:9
ნანტი-ანჟე .................................... 2:0
რენი-ლიონი .................................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 30 | 24 | 5 | 1 | 77-15 | 77 |
| 2.მონაკო | 30 | 13 | 13 | 4 | 44-34 | 52 |
| 3.ნიცა | 30 | 13 | 8 | 9 | 43-33 | 47 |
| 4.ლიონი | 30 | 13 | 7 | 10 | 47-33 | 46 |
| 5.რენი | 30 | 11 | 12 | 7 | 42-36 | 45 |
| 6.ნანტი | 30 | 11 | 11 | 8 | 29-28 | 44 |
| 7.კაენი | 30 | 13 | 4 | 13 | 32-39 | 43 |
| 8.სტ.ეტიენი | 30 | 12 | 6 | 12 | 33-34 | 42 |
| 9.ლილი | 30 | 9 | 13 | 8 | 25-24 | 40 |
| 10.მარსელი | 30 | 8 | 15 | 7 | 40-31 | 39 |
| 11.ლორიანი | 30 | 9 | 12 | 9 | 41-42 | 39 |
| 12.ანჟე | 30 | 10 | 9 | 11 | 29-31 | 39 |
| 13.ბასტია | 30 | 11 | 6 | 13 | 28-31 | 39 |
| 14.ბორდო | 30 | 9 | 11 | 10 | 38-48 | 38 |
| 15.მონპელიე | 30 | 10 | 6 | 14 | 36-35 | 36 |
| 16.გენგამი | 30 | 9 | 8 | 13 | 36-45 | 35 |
| 17.რეიმსი | 30 | 8 | 9 | 13 | 34-43 | 33 |
| 18.გაზელეკი | 30 | 7 | 12 | 11 | 31-40 | 33 |
| 19.ტულუზა | 30 | 5 | 11 | 14 | 32-48 | 26 |
| 20.ტრუა | 30 | 2 | 8 | 20 | 21-68 | 14 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

უტრეხტი-დენ ჰააგი .................... 2:2
ვიტესი-ფეინოორდი ..................... 0:2
ერაკლესი-კამბური ...................... 3:1

აიაქსი-ნაიმეგენი ......................... 2:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აროუკა-სეტუბალი ....................... 1:0
მორეირენშე-აკადემიკა ................ 2:2
ნასიონალი-რიუ ავე .................... 1:0
გიმარაეში-ფერეირა .................... 0:1
ბელენენსეში-ბრაგა ..................... 3:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

მორდოვია-კრასნოდარი ............... 0:1
ლოკომოტივი-უფა ....................... 2:0
ზენიტი-რუბინი ........................... 4:2

**შოტლანდია. ლიგის თასი**

**ფინალი**

ჰიბერნიანი-როსი ........................ 1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-სტ.გალენი ...................... 4:2
იანგ ბოიზი-სიონი ....................... 3:2
გრასჰოპერსი-ციურიხი ................ 4:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-აუსტრია ........................ 1:1

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-კორტრაიკი ............ 3:0
ლეუვენი-ბრიუგე ........................ 0:1
ვესტერლო-ბევერენი .................. 1:0
გენკი-ოსტენდე ........................... 4:1
ვარეგემი-მუსკრონი .................... 3:0
მეხელენი-სტანდარდი .................. 4:0
სტ.ტრუიდენი-ლოკერენი ............. 1:1

შარლერუა-გენტი ........................ 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ასტერასი ............... 2:1
ირაკლისი-ვერია ......................... 1:1
ლევადიაკოსი-პლატანიასი ........... 0:3
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი ....... 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ესკიშეჰირი-აკჰისარი ................. 3:3
გენჩლერი-გალათასარაი .............. 1:1
ფენერბახჩე-ქაისერი ................... 1:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სიგმა-სპარტა ............................. 0:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლები-პოგონი ......................... 1:1
გურნიკი-ლეხია ........................... 1:1

**უკრაინა. პარი მატჩ ლიგა**

ვოლინი-სტალი ............................ 1:0
ჰოვერლა-მეტალისტი .................. 1:0
დნიპრო-შახტარი ......................... 4:1

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-ნორდსიელანდი .............. 3:1
ბრონდბიუ-რანდერსი .................. 1:0
კოპენჰაგენი-ოლბორგი ............... 6:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

მიოლდე-ტრომსო ........................ 1:1
ბოდო გლიმტი-სონგდალი ............ 2:0
სარპსბორგი-ჰაუგესუნდი ............ 0:1
სტრომგოდსეტი-ბრანი ................ 2:2
სტარტი-ლილესტრიომი ............. 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# საქართველო ცხადაძეს გაეყარა და ვაისს შეეყარა

## ვლადიმერ ვაისი: საქართველოში ტურისტად არ ჩამოვსულვარ



მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ვაისი წარადგინა.

51 წლის სლოვაკ სპეციალისტთან ორწლიანი კონტრაქტი მომავალი შესარჩევი ციკლის ბოლომდე გაფორმდა, ხოლო პროგრამა-მინიმუმად მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მე-3 ადგილის დაკავება დაისახა.

კობიაშვილის განცხადებით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყდა კონტრაქტი ნაკრების ყოფილ მწვრთნელ კახა ცხადაძესთან და მხარეებს არანაირი ვალდებულებები აღარ გააჩნიათ.

კობიაშვილმა მადლობა გადაუხადა ცხადაძეს გაწეული მუშაობისთვის და ნაყოფიერი და წარმატებული სამწვრთნელო კარიერა უსურვა.

**ლევან კობიაშვილი:**

– მთავარი ამოცანა იყო გვენახა ისეთი მწვრთნელი, რომელსაც სანაკრებო დონეზე ექნებოდა მუშაობის გამოცდილება. ამასთან, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ნაკრებში ინიშნება მწვრთნელი, რომელსაც სანაკრებო დონეზე დიდი გამოცდილება აქვს. ბატონ ვაისს საკლუბო დონეზეც აქვს გარკვეული წარმატება. ხელშეკრულება მსოფლიო ჩემპიონატის ბოლომდეა გაფორმებული.

ასევე პირველად ხდება, როცა ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს ექნება ფიქსირებული ხელფასი+ბონუსი. არც ერთ შეხვედრაზე აქცენტი ფინანსებზე არ ყოფილა. მთავარი იყო მომავალი, ერთად მუშაობა, რა პოლიტიკა გვქონდა და ა.შ. ამ თვენახევრის მანძილზე მას ინფორმაცია მივაწოდეთ ჩვენს ფეხბურთელებზე.

ვაისი მეტ დროს გაატარებს საქართველოში, დაესწრება ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს.

**ვლადიმერ ვაისი:**

– როცა უცხოელი იბარებს ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს, ეს დიდი პასუხისმგებლობა და ბედნიერებაა. მოხარული ვარ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ნაკრებში სამუშაოს ვუბრუნდები. როდესაც ლევანისგან შემოთავაზება მივიღე, ეს დიდ გამოწვევად აღვიქვი. საქართველოს ნაკრებში დიდ პოტენციალს ვხედავ, მაგრამ არ მინდა დაგპირდეთ, რომ დიდ შედეგებს მალევე მივაღწევთ. სათანადო შედეგამდე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივიდეთ.

მწვრთნელის ბედი დამოკიდებულია შედეგებზე. მე აქ ქვეყნის დასათვალიერებლად ნამდვილად არ ვარ ჩამოსული და მინდა დიდი ხნით დავრჩე, შედეგი ვაჩვენო. ფეხბურთელებს კი ნაკრებში ჩამოსვლა უხაროდეთ.

ნებისმიერ შემთხვევაში 4 მცველით ვითამაშებთ: ან 4-2-3-1, ან 4-3-3 ტაქტიკით. შეტევაზე ვიქნებით ორიენტირებულნი, თუმცა, თქვენც დამეთანხმებით, რომ გერმანიის დონის გუნდებთან მხოლოდ შეტევაზე ვერ ვიფიქრებთ. ჩვენი ტაქტიკა მეტოქეზე იქნება მორგებული.

ყაზახეთთან მატჩამდე ცოტა დროა დარჩენილი, მაგრამ საქართველოს ნაკრების ბოლო ათი თამაშის ვიდეო ჩანაწერს ვუყურე, შესაბამისად, გარკვეული წარმოდგენა უკვე მაქვს. ძალიან დიდი არჩევანი არაა, თუმცა აქცენტი ნაკრების ლიდერებზე იქნება გაკეთებული. მთავარია, ჩვენი სტილი ჩამოვაყალიბოთ.

ოქრიაშვილი, ანანიძე, ყაზაიშვილი დიდი პოტენციალის მქონე ფეხბურთელები არიან და საერთოდ, შეტევაში ჩვენს გუნდს მეტი შეუძლია. მთავარია მათ ისეთი ადგილი მოვუნახოთ მოედანზე, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობენ. საერთოდ, მთელმა გუნდმა ჭკვიანური ფეხბურთი უნდა ითამაშოს.

რაც შეეხება შესარჩევი ციკლს: ფავორიტი ავსტრიაა რეიტინგიდან გამომდინარე. სერბეთს ბოლო წლებში პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის და მაღალი დონის გუნდია. ირლანდიას კი სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში შეუძლია. ამ ეტაპზე აუტსაიდერები საქართველო და მოლდოვა არიან, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენს ნაკრებს ყველა მეტოქესთან ბრძოლა შეუძლია და წარმატებისთვის ენერგიას არ დავიშურებთ.

# ვლადიმერ ვაისს შვილმა ახალი თანამდებობა მიულოცა

საქართველოს ნაკრების ახალ მთავარი მწვრთნელ ვლადიმერ ვაისს ჰყავს შვილი, რომელსაც ასევე ვლადიმერი ჰქვია და რომელიც ამჟამად ყატარის ერთ-ერთ გუნდში ასპარეზობს.

უმცროსმა ვაისმა მამამისს ახალი თანამდებობა მიულოცა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად წარმატება უსურვა.

ვაისი ერთი პერიოდი საკმაოდ პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, თუმცა მან ავანსები ბოლომდე ვერ გაამართლა. ვაისი ისეთ გუნდებში თამაშობდა, როგორებიც არიან მანჩესტერ სიტი, რეინჯერსი და ესპანიოლი.

# ობემიანგი შესაძლოა რეალში გადავიდეს



დორტმუნდის ბორუსიის გაბონელი ფორვარდი პიერ ემერიკ ობემიანგი მადრიდის რეალის ინტერესების სფეროში მოექცა.

ობემიანგი წლევანდელ სეზონს ძალიან კარგად ატარებს და ის ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. რეალის წარმომადგენელი დორტმუნდშიც იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივი გუნდის თამაშს დაესწრო. ესპანურ პრესაში ვარაუდობენ, რომ ეს სწორედ გაბონელი თავდამსხმელის გამო მოხდა.

თვითონ ობემიანგი ამბობს, რომ რეალის დონის გუნდში თამაში მისი ოცნებაა და რეალში გადასვლაზე ის უარს ნამდვილად არ იტყოდა.

რეალს ძალიან დიდი სურვილი აქვს, რობერტ ლევანდოვსკი გადაიბიროს და, როგორც ჩანს, ობემიანგი სათადარიგო კანდიდატურაა, თუ ლევანდოვსკის ტრანსფერი ჩაიშლება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# პეტრიაშვილი და დათუნაშვილი ევროპის ჩემპიონები გახდნენ

საქართველოს ეროვნული ნაკრების მძიმეწონოსანი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, გენო პეტრიაშვილი ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ლატვიის დედაქალაქ რიგაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე 125 კგ. წონით კატეგორიაში მოჭიდავე გენო პეტრიაშვილმა ფინალში პოლონეთის წარმომადგენელი რობერტ ბარანი 2:38 წუთში 11:0 დაამარცხა და ევროპის ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა.

ქართველმა მძიმეწონოსანმა ფინალამდე ყველა უმთავრესი ფავორიტი დაამარცხა. პირველსავე წრეში ევროპის 4-გზის და მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონს – თურქ ტაჰა აკგულს ბოლო ილეთის უპირატესობით სძლია (8:8). ევროპის 2-გზის პრიზიორი, უნგრელი დანიელ ლიგეტი ვადაზე ადრე დაამარცხა – 14:4. ნახევარფინალში კი უკრაინის ნაკრების წევრს, ევროპის და მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატების ფინალისტ ალენ ზასეიევს 9:6 აჯობა.



ოქროს მედლის მოპოვების შანსი საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ წევრ დავით ტლაშაძესაც (70 კგ) ჰქონდა, თუმცა მან ფინალური ორთაბრძოლა პოლონეთის ნაკრების წევრ მაგომედმურად გაჯიევთან დათმო და ვერცხლის მედალი აიღო, რაც ასევე დიდი წარმატებაა.

რევაზ მინდორაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გუნდურ ჩათვლაში კი პირველობა არავის დაუთმო.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონი ასევე გახდა ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61), ხოლო ბრინჯაოს მედლები კი იაკობ მაქარაშვილმა (74), დავით მარსაგიშვილმა (86) და ელიზბარ ოდიკაძემ (97) მოიპოვეს.

პირველად ისტორიაში ევროპის ჩემპიონატზე საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 59 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, მეორეზე რუსეთი გავიდა 54 ქულით, მესამეზე – უკრაინა 51.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეების შემდეგ საქმეში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ჩაერთვნენ. ჩვენმა ნაკრებმა რიგაში სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონი ზურაბ დათუნაშვილი (75) გახდა, ვერცხლის მედალს რობერტ კობლიაშვილი (85) დაეუფლა, ბრინჯაოს კი შმაგი ბოლქვაძე (66).

დათუნაშვილმა ჯერ საფრანგეთის ნაკრების წევრ ევრიკ ნიკოგოსიანს მოუგო (8:0), შემდეგ თურქ ემრაჰ კუშთან გაცილებით მძიმე ბრძოლა გადაიტანა და 3:3-ზე ბოლო ქულის აღებით იმარჯვა. მეოთხედფინალში სომეხ კარაპეტ ჩალიანს (8:0) გაუსწორდა, ნახევარფინალში კი უმთავრეს ფავორიტს – ევროპის შარშანდელ ჩემპიონს, აზერბაიჯანელ ელვინ მურსალიევს 3:1 სძლია.

ფინალში ის სერბ ვიქტორ ნემესთან მეორე პერიოდში 0:2-ს აგებდა და საფინალო სირენამდე ნახევარი წუთით ადრე შესრულებული 2-ქულიანი ილეთით გაინაღდა ოქროს მედალი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში კი, „კლასიკოსები“ 33 ქვეყანას შორის 35 ქულით მე-6 ადგილზე გავიდნენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ასტროპროგნოზი
## 15 მარტისათვის



**ვერძი** – ნებისმიერი ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი დღეა. მაქსიმალურად ყურადღებით იყავით. ზედმეტი აქტიურობა არასასურველია. **კურო** – კარგი პერიდია საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. ბიზნესმენებმა დღეს იაქტიურეთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **ტყუპები** – სიურპრიზებით აღსავსე დღეა. შესაძლოა, ძვირფასი საჩუქარი მოგიძღვნან. გელით კარიერული წინსვლა. ოჯახში ცოტა დაძაბული სიტუაციაა. **კირჩხიბი** – გააკონტროლეთ შემოსავალი და გასავალი. დღის მეორე ნახევარი ოჯახური პრობლემების მოგვარებას დაუთმეთ. **ლომი** – პლანეტები გირჩევენ, თქვენი გეგმების განხორციელება დღესვე დაიწყოთ. თავი შეიკავეთ ქალაქგარეთ გასვლისაგან. **ქალწული** – ნებისმიერ საქმეს გაუმკლავდებით, თუ სათანადო შეუპოვრობასა და შრომისმოყვარეობას გამოიჩენთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **სასწორი** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება. **ღრიანკალი** – დღეს კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ცურვა, ფიტნესი. აქტიურად დაისვენეთ. პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ახალი ნაცნობობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **მშვილდოსანი** – აქტიურობა და კომუნიკაბელურობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ახალ შემოთავაზებებზე უარი არ თქვათ. **თხის რქა** – დღეს საშუალება გეძლევათ, მთელი თქვენი ტალანტი და შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინოთ. გამორიცხული არ არის ახალი გატაცება. შესაძლოა, სასარგებლო წინადადებაც შემოგთავაზონ. **მერწყული** – ჰარმონიული და ოპტიმისტური დღეა. გარშემომყოფებს თქვენს აზრს თავს ნუ მოახვევთ. ნებისმიერი შესაძლებლობა გამოიყენეთ, რათა ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. **თევზები** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა, ოღონდ ბევრ ფულს ნუ დახარჯავთ, მცირედით დაკმაყოფილდით. პირად ცხოვრებაში სპონტანურ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა ბირჟაზე; 2. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 3. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 4. დაბა დაღესტანში, ვერცხლის ნაკეთობათა დამზადების ცენტრი; 5. მხარე ავსტრიაში; 9. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ჯარის რჩეული ნაწილი; 14. ქართველ ძალოსანთა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 15. გემისთვის ავარიის შედეგად მიყენებული ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 16. ქართული ლუდი; 19. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 21. ფილტვებისა და გულმკერდის ღრუს კედლების მფარველი აპკი.

**თარაზულად:** 6. სითხის გამოსახდელი ხელსაწყო; 7. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 8. კახურ ღვინოსი არსებული მთრთილავი ნივთიერება; 11. მონასტრის მსახური; 12. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ქართული ჩაი; 17. ერთგვარი თამაში გამოცანა; 18. ისრაელის პრემიერ-მინისტრი; 22. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 23. ჭაობში მზარდი ისლისებრთა ოჯახის მცენარე; 24. აყალმაყალი, ჩხუბის ამტეხი ადამიანი; 26. ებრაული სამლოცველო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კარეტა; 4. მერქანი; 7. გრიალი; 9. როყინი; 11. ალუბალი; 12. ჟანგბადი; 13. ისხარი; 17. პრაიდი; 18. კოპი; 19. ალტიმეტრი; 20. პირამიდა.

**შვეულად:** 1. კინო; 2. ტვიდი; 3. მეისრე; 5. ემალი; 6. ნალბანდი; 8. ტელევიზორი; 10. კლასიკა; 12. ჟურნალი; 14. მანეჟი; 15. ლიმიტი; 16. ტაიგა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ონი; 2. მირეი; 3. ათანასე; 4. აზრი; 5. მო; 6. სი; 7. აბაჟური; 8. ოსპი; 9. მასრა; 10. დრაფი; 11. ტაქსა; 12. ერ; 13. რე; 14. როკ; 15. კარატე; 16. საქარინი; 17. რეგისტრი; 18. აბი; 19. ტრი; 20. პაროკო; 21. არ; 22. კვიპაროსი; 23. რეი; 24. ამია; 25. ვალი; 26. იდალგო; 27. ავიზო; 28. ვაპორეტო; 29. „მუმუ“; 30. არიოზო; 31. მაკრამე.

**სურათებზე:** ქეით ბექინსეილი; კრისტოფ მეცელდერი.

# გერმანიის ბიბლიოთეკაში უცნობი ქართული ხელნაწერი აღმოაჩინეს



ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში აქამდე უცნობი ქართული ხელნაწერი აღმოაჩინეს. – ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერი – ასეთ განცხადებას ავრცელებს გიორგი ქავთარაძე და მინიატურული ხელნაწერის ფოტოებს აქვეყნებს:

– ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მუშაობისას აღმოჩნდა დღემდე შეუსწავლელი, არა კატალოგიზირებული ხელნაწერი.

ხელნაწერი შეიცავს ნუსხა-ხუცურით დაწერილ ბიბლიის ტექსტს. ასევე, ტექსტში ჩართულია ლუკა მახარებლის ერთი ფერადი გამოსახულება.

ბიბლიოთეკარმა, ქალბატონმა ნიკოლე ფიურთინგმა დამრთო ნება, მობილურით გადამეღო პირველი და ბოლო გვერდი. მისი განცხადებით: „ეს ხელნაწერი ბიბლიოთეკამ 2012 წელს შეიძინა კერძო კოლექციონერისაგან ამსტერდამში."

ხელნაწერი მცირე ზომის გამო, დიგიტალიზაციას არ ექვემდებარება. საჭიროა, კოდიკოლოგმა და ტექსტოლოგმა ადგილზე შეისწავლოს.

პ.ს. ამ აღმოჩენით ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას კიდევ ერთი შესანიშნავი ხელნაწერი შეემატა.

# ანრი ჯოხაძე ძმით და რძლით ამაყობს



მომღერალი ანრი ჯოხაძე თავისი ძმითა და რძლით ამაყობს. როგორც მომღერალმა სოციალურ ქსელში დაწერა, მისმა ძმამ ომარ ჯოხაძემ და რძალმა ნინო გოგიჩაიშვილმა ვერდის „ტრავიატაში" ნამდვილი ფურორი მოახდინეს.

ანრი ჯოხაძე:

– ვულოცავ ჩემს ძმას და რძალს „ტრავიატა"-ს წარმატებულ პრემიერას. მეამაყებით!

ანრის მილოცვას შეუერთდა მისი და მაგდა ჯოხაძე, რომელიც ასევე მომღერალია. სამივენი ერთხმად აღიარებენ, რომ მათი მუსიკალური ნიჭი მათი დედის, კომპოზიტორ რუსუდან ჩხაიძის დამსახურებაა.

ომარ ჯოხაძე და ნინო გოგიჩაიშვილი უკვე წლებია იტალიაში ცხოვრობენ და პროფესიულ კარიერაში წარმატებებს აღწევენ. ცოლ-ქმარი დამაჯერებლად მიიწევს წინ და იტალიის საოპერო სფეროში უკვე ცნობილი საოპერო მომღერლები არიან.

მათ მონაწილეობა მიიღეს თეატრ ველუტიში დადგმულ საოპერო წარმოდგენაში, სადაც ვერდის „ტრავიატაში" მთავარი პარტიები შეასრულეს. ნინომ ვიოლეტას პარტია იმღერა, ომარმა კი ალფრედის პარტია შეასრულა. კრიტიკოსები წყვილს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

# უკრაინელი მფრინავის მხარდასაჭერად ქართველმა მომღერლებმა ჰიმნი ჩაწერეს



უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს მხარდასაჭერად ქართველმა მომღერლებმა სპეციალური ჰიმნი ჩაწერეს და მასზე ვიდეორგოლიც გადაიღეს. სიმღერა „ბრავო რექორდსში" ჩაიწერა.

„ია ნე ზდამსია ბეზ ბაჲ!" (ბრძოლის გარეშე არ დავნებდები!) – ასე ეწოდება სიმღერას, რომელიც „ბრავო რექორდსში" ჩაიწერა. ჰიმნს ცნობილი ქართველი მომღერლები სოფო ბედია, გიორგი მახარაშვილი, ნინა წკრიალაშვილი, ნოდიკო ტატიშვილი, გიორგი ბერიძე, ანრი ჯოხაძე, მაკო კვიტაიშვილი, ანი კეკუა, ნინი ბადურაშვილი, ნინი წიკლაური, გიორგი ჩიქოვანი და სოფო გელოვანი ასრულებენ.

ქართველი მომღერლების განცხადებით, ისინი სრულ სოლიდარობას და მხარდაჭერას უცხადებენ უკრაინელ მფრინავს და მისი მებრძოლი სულით და შემართებით გაოცებულები არიან.

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ა/რ მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, შრომისა და აფხაზეთის ომის ვეტერანი

**ლევან ჯიქია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ხათუნა იოსელიანი უცხოეთში დააჯილდოვეს



მსახიობი ხათუნა იოსელიანი საქართველოს წინაშე გაწეული ღვაწლისთვის დააჯილდოვეს. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი რუსთაველის თეატრში გაიმართა. ამერიკაში მოღვაწე ქართველი ხელოვანისთვის განკუთვნილი ჯილდო მისმა შვილიშვილმა საშკა კალმახელიძემ მიიღო.

ხათუნა იოსელიანი წლებია ამერიკაში ცხოვრობს. ის უკვე ამერიკის მოქალაქეა. საქართველოს დატოვების შემდეგ, მსახიობი ამერიკაში თავდაპირველად ქართულ საკვირაო სკოლაში მუშაობდა, სადაც ემიგრანტების შვილებს ქართულ ტრადიციებს და ადათ-წესებს ასწავლიდა, მოგვიანებით კი, როდესაც პატარებისთვის ეს ყველაფერი მშობლიური გახდა, ბავშვებთან ერთად „ნაცარქექიაც" განახორციელა.

რამდენიმე წლის შემდეგ, ხათუნა იოსელიანმა ნიუ იორკის ქართულ თეატრში გადაინაცვლა, სადაც დამდგმელ რეჟისორად და მსახიობად მუშაობს. მან დადგა სპექტაკლები „ჰელადოსი", „თეთრი ბაირაღები", „შთამომავლობა" და ქართველ მსახიობებს პატარა საქართველო ნიუ იორკის შუაგულში გააცოცხლებინა.

– ემიგრანტის ცხოვრების დასაწყისი ყოველთვის მძიმეა და არც მე გახლდით გამონაკლისი. მაგრამ არის ჩემში რაღაც ისეთი, რაც ყოველთვის პოზიტიური სვლებისკენ მიბიძგებს. მიმაჩნია, რომ ეს უფლის წყალობაა. ჩემი განვლილი გზა საინტერესოა. „აღმართ, აღმართ მივდიოდი მე ნელა, სერზე შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა..." აი, ასეთია ჩემი ცხოვრების განვლილი გზა. ადამიანი იბადება ისეთი, როგორიც არის და მას არაფერი და ვერაფერი შეცვლის, – ამბობს მსახიობი.

ხათუნა იოსელიანს მანჰეტენზე საკუთარი ბინა აქვს, რომელიც მოქალაქეობის მიღების შემდეგ მისცეს. მას მანჰეტენზე სალომე ზურაბიშვილიც კი სტუმრობდა. ხელოვანი, რომელიც საქართველოდან მატერიალური პირობებს გასაუმჯობესებლად გაემგზავრა, ახლა ბედნიერია, რადგან საყვარელ საქმეს ემსახურება, თუმცა სულ ამბობს, რომ საქართველოში აუცილებლად დაბრუნდება.

**ხათუნა იოსელიანი:**

– როდესაც ბინა მივიღე მანჰეტენზე, სიხარულისაგან არ ვიცოდი, რა მექნა. დავიწყე ჩალაგება, მზადება გადასასვლელად და უცებ აღმოვაჩინე ჩემი ქართული ატრიბუტები. მე ქართველი ვარ და ამით ვამაყობ, მე დავბრუნდები!

***– როგორია თქვენთვის ამერიკა?***

– ამერიკა დიდებული ქვეყანაა. აქ ყველაფერი ისეა აწყობილი, რომ თუ ადამიანი მიზანს დაისახავს და ბევრს იშრომებს, წარმატების მიღწევის დიდი შანსი აქვს. ეს ქვეყანა გაძლევს საშუალებას, დაფასებული იყო. ამერიკაში წლების წინ ჩამოვედი. შევავსე აპლიკაცია და 3 წელიწადში ბინა მივიღე მანჰეტენზე, იუნიონ სკვერთან.

ეს ამბავი ბევრს გაუხარდა, უამრავი ადამიანი მილოცავდა ახალმოსახლეობას, მაგრამ მათ შორის მაინც გამოერია ისეთი, ვინც მომწერა: „რა ბინა მიიღე, აღმასკომმა მოგცა ჟაქტის ბინა თუ?" მისთვის არაფერი მიმიწერია. თბილისში ბინა ჩემი ქალაქის მაშინდელმა მერმა ვანო ზოდელავამ მომცა მას მერე, რაც პირველი გრანპრი ავიღე მხატვრულ ფილმში „ცარიელი სივრცე" შესრულებული როლისთვის. ამ ფილმის რეჟისორი მიხო ბორაშვილია. როცა საქართველოში მთავრობა შეიცვალა, სპორტსმენებს და ხელოვან ხალხს ბინები წაგვართვეს. მოგვიანებით, წართმეული ბინები რამდენიმე ადამიანს დაგვიბრუნეს, მაგრამ ეს დიდი ნერვიულობის შემდეგ მოხდა... ბინა მანჰეტენზე, ჩემი შრომისა და წარმატების გამო მომცეს.

ძალიან გახარებული ვარ. როცა ბინა მომცეს, ჩემი შვილიშვილი საშკა კალმახელიძეც ჩემთან ჩამოვიდა. ბინა რომ მოგვცეს, მეორე დღესვე გადავედით და ახალი სახლი საშკასთან ერთად მოვაწყე. მან ამერიკაში ისწავლა. პროფესიად დიპლომატობა აირჩია. მას ყოველთვის ჰქონდა სურვილი საქართველოში დაბრუნებულიყო და საქართველოს აღზევების ფერხულში ჩართულიყო.

ჩემი შვილობილი ლევან მეტრეველიც ყველაფერში დამეხმარა, ყოველთვის მხარში მიდგას. აქ, სამშობლოდან შორს მყოფი, ამ ადამიანების სიყვარულსა და თანადგომას რომ არ ვგრძნობდე, არ ვიცი, რა მეშველებოდა.

***– ქართული ატრიბუტები საქართველოდან სპეციალურად წაიღეთ?***

– რა თქმა უნდა! ლაშა და საშკა უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად გამართულ აქციაზე მიდიოდნენ და ვფიქრობდი, რომ მათ თავიანთი სამშობლოს დროშა უნდა სჭეროდათ ხელში. გაწამაწიაში ვიყავი, ყუთებში ვალაგებდი ჩემს ნივთებს ახალ ბინაში გადასასვლელად. უცებ, საიდანღაც „თავი ამოყო" ჩემი ქვეყნის დროშამ. ამ ფაქტმა ძალიან ამაღელვა. მინდა, ერთი რამ აღვნიშნო, რომ აქ მყავს დიდებული კოჰორტა ქალბატონებისა, რომლებსაც ქართული დროშა ხელიდან არ გაუშვიათ: ელისო წიკლაური, ელა ვლადიმერაშვილი, ეკა ცინცაძე-დერდერიანისა, ია ნებიერიძე, სალომე ზურაბიშვილი, რომელიც დაბადებიდანვე იბრძვის საქართველოს კეთილდღეობისთვის.

ჩვენ, ქართველები, აუცილებლად დავბრუნდებით ისეთ საქართველოში, როგორიც ადრე იყო, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული. ღმერთმა ქნას, გვეშველოს და საქართველო მალე გაძლიერდეს!

# გოგი გვახარია სტურუას მსახიობს დანაშაულში ამხელს



კინომცოდნე გოგი გვახარია რობერტ სტურუას ერთ-ერთ „დიდ არტისტს" დანაშაულში ამხელს და იმ შემთხვევას იხსენებს, რომელიც თეატრალურ უნივერსიტეტში მოხდა.

**გოგი გვახარია:**

– დიდი ხნის წინ, თეატრალურ უნივერსიტეტში ლექციას როცა ვკითხულობდი, ერთი ცუდი ამბავი მოხდა. ლექციაზე ცხელოდა და ჩემს სტუდენტს, გიორგი კალატოზიშვილს, რომელიც შესასვლელთან იჯდა, კარის გაღება ვთხოვე. ლექციის დროს აუდიტორიასთან, გარეთ, რამდენიმე ბიჭი მოგროვდა და ხმაურით, ხმამაღალი რეპლიკებით შეეცადა ლექციის ჩაშლას. გიორგის ვთხოვე ამჯერად კარი დაეკეტა.

მერე დღეს გაირკვა, რომ ეს ყმაწვილები გარეთ დახვდნენ და საქმე გაურჩიეს, გვახარიას ლექციაზე რატომ ზიხარო. გიორგის უკან არ დაუხევია, რაც იმით დასრულდა, რომ დაჭრეს.

გამოგვიძახა მაშინდელმა რექტორმა, გიგა ლორთქიფანიძემ მე და ნათია ამირეჯიბი, გიორგი ნათიას სახელოსნოში სწავლობდა, იმ სტუდენტების პედაგოგი მანანა ბერიკაშვილი და გვაცნობა, ყველას ვრიცხავთ უნივერსიტეტიდანო. გიორგი, რა თქმა უნდა, გადავარჩინეთ, ვუთხარით, რომ ჩვენც გავყვებოდით უნივერსიტეტიდან. მაგრამ ეს არაა საინტერესო. გიგა ლორთქიფანიძემ მკითხა, რა მოხდაო, ვუთხარი, გარედან იგინებოდნენ, შეურაცხყოფას მაყენებდნენ, მე კი მიჩვეული ვარ ამას, მაგრამ გიორგი, ეტყობა, გაბრაზდა-მეთქი. რას ნიშნავს მიჩვეული ვარო, გაუკვირდა გიგას. და ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა გიგა ლორთქიფანიძემ სიმართლე თქვა, ჩვენ არ უნდა მივეჩვიოთ შეურაცხყოფასო...

ერთ-ერთი თავდამსხმელი მერე „დიდი არტისტი" გამოვიდა სტურუასთან. დღესაც ხშირად იგინება. ამჯერად ფეისბუკზე იცავს ქართველობას. გიორგის კი არასდროს დავუვიწყებ ვაჟკაცურ საქციელს და ყოველთვის მისი მადლობელი ვიქნები!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პროგრამა

**სამშაბათი
15 მარტი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 16.00, 01.30** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **13.55 ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის **17** წლამდელთა ელიტრაუნდი: **ბოსნია – საქართველო** (მ. მესხის სტადიონიდან) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ცხოვრება ციფრებში" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.50** მწვერთნელი – ემზარ ნარმანია **22.59** "კომუნიკატორი" **23.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. **23.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა **1/8** ფინალური მატჩი: **ატლეტიკო – პსჟ.** (პ/ტრ) **01.40** მხ/ფ "**ნიღაბი**" **03.20** "პირადი ექიმი"

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" – ბერლიოზი **13.00** დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" მერვედ ფინალი: "**მანჩესტერ სიტი**" – "**დინამო" კიევი**

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **2** სერ. **22.00** ცოდნა ფულია **23.00** მხ/ფ. "**ოპერაცია დელტა**" (ლ.მარვინი) **01.25** მხ/ფ. "**კამილა კლოდელი**" (ჟ.ლ.ვინსენტი) **03.10** მხ/ფ. "**ამერიკელი ცოლი**" (კ.ფერტი)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ."**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო**22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**9.00, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **9.30, 15.30** Discovery- როგორ არის დედამიწა მოწყობილი **10.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძვლები**" **16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.00** მხ/ფ "**ჩემი სიძულვილის 10 მიზეზი**" **23.50 ID Extra -** მოჩვენებებით შეპყრობილი **0.45, 2.30** URBAN STORIES **1.35** ჯიდიპედია

**06.10** მხ/ფ "**მამლუქი**" **07.10** წმინდა ანდრია კრიტერის დიდი კანონი (მსახურება) **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** ზღვარზე-დედა– შვილი **11.10** თაობა ზეტი **11.30** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ "**დიმიტრი**II" I სერ. **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი-სამშაბათის (საკითხავი) **15.55** დ/ფ "საქართველოს სამოციქულო ეკლესია" **17.10** წმინდა ანდრია კრიტერის დიდი კანონი (მსახურება) **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სჯანი **19.50** ღია აუდიტორია **20.30** კვირიაკის სიუჟეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.00** "კონტაქტი" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.00** "კონტაქტი" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ერთხელ ოდესაში**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4258 |
| ევრო | 2.6943 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4677 |
| 100 რუსული რუბლი | 3.4836 |

**ამინდის პროგნოზი 15 მარტისთვის**








## 17 მარტიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

საქართველოს ბუნების ატლასი

მცენარეები და ცხოველები




## 14 მარტიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

მუხრან მაჭავარიანი

100 ლექსი




კალეიდოსკოპი

## ყველაზე ლამაზი დამნაშავე გაათავისუფლეს



ყველაზე ლამაზი დამნაშავე, რომელმაც ინტერნეტის მომხმარებელთა გულები საკუთარი გარეგნობით დაიპყრო, პატიმრობიდან განთავისუფლდა.

გავრცელებული ინფორმაციით, 30 წლის ჯერემი მიკსი განთავისუფლების შემდეგ სამოდელო ბიზნესში კარიერის გაკეთებას აპირებს.

მიკსი სასჯელს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისთვის იხდიდა, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია კონტრაქტი გაეფორმებინა ერთ-ერთ უმსხვილეს სამოდელო სააგენტოსთან. მიკსი პოპულარული მას შემდეგ გახდა, როდესაც მისი ფოტოსურათი ფეისბუქში ქალაქ სტოკტონის პოლიციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. მან 100 ათასზე მეტი მოწონება მიიღო, 12 ათასზე მეტჯერ იქნა გაზიარებული, ხოლო კომენტარების რაოდენობამ 27 ათასს მიაღწია.

## ჯეიმს კუკის საჩუქრები ჰავაელ აბორიგენებს დაუბრუნეს



ბრიტანელი მკვლევარისა და მოგზაურის ჯეიმს კუკისთვის მირთმეული საჩუქრები ჰავაელ აბორიგენებს დაუბრუნეს.

1779 წელს კუკმა აბორიგენებისგან საჩუქრად მიიღო მოსასხამი და ბუმბულებით მორთული მუზარადი. ადგილობრივებთან ურთიერთობის გაფუჭების შემდეგ ბრიტანელი მკვლევარი მოკლეს. ამის შემდეგ, მისი ნივთები კერძო კოლექციონერებთან მოხვდა, შემდეგ კი ახალი ზელანდიის ეროვნულ მუზეუმში დაიდეს ბინა, სადაც ისინი 100 წელზე მეტი ხნის მანძილზე ინახებოდა.

კუკის საჩუქრების ჰავაის მკვიდრი მოსახლეობისთვის დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკებები სამი წლის მანძილზე გრძელდებოდა. მოსასხამი და მუზარადი აბორიგენების წარმომადგენლებს ველინგტონში მუზეუმის შენობაში გადაეცათ.

– ჩვენ დავიბრუნეთ ის, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურისთვის, – განაცხადა აბორიგენების წარმომადგენელმა.

კუკის მოსასხამი და მუზარადი ჰავაიზე ბიშოპის მუზეუმში იქნება გამოფენილი.

## მადონას ქალიშვილი მოდელი გახდა



მომღერალ მადონას ქალიშვილის ლუდრეს ლეონის დებიუტი, როგორც მოდელის, სტელა მაკარტნის სარეკლამო კამპანიის დროს შედგება. ამის თაობაზე დიზაინერმა ინსტაგრამში საკუთარი მარკის გვერდზე დაწერა.

19 წლის ლუდრესი, რომელიც უფრო მეტად ლოლას სახელითაა ცნობილი, ახალი პარფიუმ პოპის სახე გახდა.

როგორც თავად გოგონამ განაცხადა, მას მოეწონა სარეკლამო კამპანიის არომატის კონცეფცია, რომელიც ასწავლის, რომ პოზიტიურად იყოს განწყობილი გარშემომყოფთა მიმართ და წინ აღუდგეს სოციალური მედიის ნეგატიურ ზეგავლენას.

ლუდრესის პირველი ფოტოსურათი, რომელიც მან პოპ-ის რეკლამისთვის გადაიღო, საკუთარ ინსტაგრამში მადონამ გამოაქვეყნა. ფოტოსურათზე გოგონას თმები ღია ლილისფრადა აქვს შეღებილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## ნეიმარი მოპოვებული პენალტებით ევროპაში პირველ ადგილზეა

ბარსელონას ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი უზადო ტექნიკას ფლობს და დრიბლინგის წყალობით ხშირად ატყუებს ხოლმე მეტოქე გუნდის მცველებს. ამის გამო ისინი ხშირად ჯარიმდებიან და ზოგჯერ ეს საჯარიმო მოედანში ხდება.

ესპანეთის ჩემპიონატში ნეიმარმა უკვე 6 თერთმეტმეტრიანი დარტყმა მოიპოვა და ამ მაჩვენებლით ის ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

იგივე შედეგი აქვს ლესტერის ფორვარდ ჯეიმი ვარდის, რომელიც წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ მთავარ აღმოჩენად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონა საკმაოდ ხშირად ურტყამს პენალტებს, კატალონიელებმა მხოლოდ 10 შანსი გამოიყენეს 20-დან, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია და იმაზე მიუთითებს, რომ ბარსელონასაც აქვს სისუსტეები.

## ალაბა ბაიერნიდან არ მიდის



მიუნხენის ბაიერნის ავსტრიელი მცველი დავიდ ალაბა სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებს.

ბოლო პერიოდში ბევრი იწერებოდა იმის შესახებ, რომ ალაბა ბაიერნიდან წავიდოდა და კარიერას რომელიმე სხვა კლუბში გააგრძელებდა, თუმცა ეს ჭორები არ გამართლდა და ავსტრიელი მცველი უახლოეს დღეებში ბაიერნთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს.

კონტრაქტის პირობების თანახმად, ალაბას მაღალი ანაზღაურება ექნება და მისი კონტრაქტი 2021 წლამდე იმოქმედებს.

ალაბას წინა სეზონებში ხშირად აწუხებდა ტრავმები, მაგრამ წელს ის ძალიან კარგ ფორმაშია და ბაიერნის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლება.

შეგახსენებთ, რომ ავსტრია საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მოწინააღმდეგეა 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ტერიტორიული ერთეული შუა-საუკუნეების საქართველოში; 4. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 5. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. ქართველი კომიკოსი; 12. რძის შაქარი; 14. მოყვითალო ფერის, დაბალი ხარისხის შაქარი; 15. ირლანდიის ძველი სახელწოდება; 17. ოქროს ვარაყის ქართული სახელწოდება; 18. მწვერვალი კავკასიონზე.

**თარაზულად:** 6. დაბადების დღის აღნიშვნა; 7. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ჩანჩქერი არგენტინაში; 10. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 11. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმში; 13. ქართველი მოქანდაკე ქალი; 16. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 19. საკონდიტრო ნაწარმი; 20. მრავალწახნაგა გეომეტრიული სხეული.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**






## იუმორი

ქმარმა ცოლს შეუსწრო და ხედავს, ლოგინში ბუღნაობაა. უყურა, უყურა და ბოლოს ეუბნება:

– მოგებულს მე ვხვდები.

●●●

ერთი შინაბერა მეორეს ეუბნება:

– ზოგს რა ბედი აქვს.

– რა მოხდა?

– ჩემი მეზობელი, მაყვალა, გათხოვდა, საყვარელიც ჰყავს და ორი დღის წინ კიდევა გააუპატიურეს კიდეცა!

●●●

ექიმთან შესული პაციენტი ეუბნება:

– აი, ექიმო, ჩვენც მოვედით.

– ვინ თქვენ?

– მე და ჩემი ჭიები.

●●●

მამაკაცი მეძავს ეკითხება:

– რა ღირს თქვენთან ერთი ღამის გატარება?

– ათი ლარი.

– ვა, რატომ ასე იაფი?

– ვხვრინავ.

●●●

სკოლიდან სახლში დაბრუნებული ბავშვი მშობლებს გამოუცხადებს:

– მორჩა, ხვალიდან სკოლაში აღარ წავალ.

– რატომ, შვილო? – ეკითხება დედა.

– კითხვა მე არ ვიცი და წერა, ლაპარაკს კიდევ მიშლიან და იქ რაღა მინდა?!

●●●

ქორწილის მეორე დღეს პატარძალი მაგარ „პახმელიაზე“ მყოფ მამამთილს თავს დასტრიალებს და ბოლოს გაუბედავს და ეკითხება:

– უკაცრავად, მამა დაგიძახოთ, თუ სახელით მოგმართოთ?

– რას ამბობ, შვილო, თუ გინდა „გარშოკი“ დამიძახე, მხოლოდ შიგ არაფერი ქნა და...

●●●

მაროს მეზობელი ქალი მიადგება და ღამით მათთან დარჩენას სთხოვს.

– რატოო? – ეკითხება მარო.

– ქმარს ვუთხარი გლალატობო და გამომაგდო.

– სულელი ყოფილხარ, მე ჩემ ქმარს მიტოსთანაც ვღალატობ, ვანოსთანაც და გივისთანაც, მაგრამ კი არ ვეუბნები.

ამ დროს ქმარი მეორე ოთახიდან გამოსძახებს, მეტყვი და დედაც გეტირება!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**